



# ნარჩენების კლასიფიკაციის სახელმძღვანელო

*ოქტომბერი, 2016*

მომზადებულია Georgia's Environmental Outlook (GEO)-ს მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის თვალსაზრისს.

## ტერმინთა განმარტება

ნარჩენის კოდი	ექვსციფრინი კოდი, ნარჩენების ნუსხაში
ნარჩენების ნუსხა	ნარჩენების ჯგუფების, ქვე-ჯგუფებისა და კონკრეტული ნარჩენების კოდების ორგანიზებული სისტემა, რომელიც გამოიყენება ნარჩენების კლასიფიკაციისთვის,
კოდის ხაზი	ერთი კოდის ხაზი ნარჩენების ნუსხაში. კოდის ხაზი შედგება კოდისგან, ნარჩენის დასახელებისა და ნიშანისგან (*) სახიათო ნარჩენის შემთხვევაში
სახიფათო კოდის ხაზი	კოდის ხაზი რომელსაც აქვს ასტერიქსი
არასახიფათო კოდის ხაზი	კოდის ხაზი, რომელსაც არ აქვს ვარსკვლავი
სარკისებური კოდის ხაზი	ორი კოდის ხაზი, რომლებიც აღწერს ერთსა და იმავე ნარჩენს, მაგრამ ერთერთი მათგანი შეიცავს ნივთიერებას, რის გამოც ეს ნარჩენი სახიათოა
99 კოდი	ნარჩენის კოდი რომლის ბოლო ორი ციფრია „99“ აქვს
დაკავშირებული კოდები	კოდის ხაზი რომელიც ნარჩენის სახელში სხვა ნარჩენსაც იხსენიებს შემდეგი სიტყვებით „...რომელიც არ არის ნახსენები XX XX XX „
ნარჩენების განთავსებისა და რეციკლირების კოდები	კოდი, რომელიც განსაზღვრავს, რა მოსდის წარმოქმნილ ან შეგროვებულ ნარჩენს
R კოდი	კოდი, რომელიც ენიჭება ნარჩენებიდან მასალის ან ენერჯის აღდგენის ოპერაციას
D კოდი	კოდი, რომელიც ენიჭება განთავსების ოპერაციის დროს, რომლის მიზანია ნარჩენების უარყოფითი ზემოქმედების შემცირება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე

## შინაარსი

1	შესავალი.....	4
2	რა არის ნარჩენი.....	5
2.1	რატომ არის საჭირო ნარჩენების რეგულირება .....	5
2.2	ნარჩენის განსაზღვრა .....	7
2.3	გამონაკლისები ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან.....	8
2.4	თანმდევი პროდუქტი.....	9
2.5	კრიტერიუმები იმის დასადგენად, არის თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენი.....	9
2.6	როდის აღარ ითვლება ნარჩენი ნივთიერება ან საგანი ნარჩენად .....	12
3	ნარჩენების კლასიფიკაცია და შეფასება.....	14
3.1	შესავალი.....	14
3.2	ნარჩენების კლასიფიკაციისა და შეფასების პროცედურა .....	15
3.3	როგორ გამოვიყენოთ ნარჩენების ნუსხა .....	20
3.3.1	შესავალი.....	20
3.3.2	ნარჩენების ჯგუფები.....	20
3.3.3	ნარჩენების ქვეჯგუფები .....	21
3.3.4	კონკრეტული კოდები (კოდის ხაზები).....	21
3.4	ნარჩენების ნუსხის გამოყენების ინსტრუქცია .....	22
4	ნარჩენების სახიფათობის მახასიათებლები .....	28
4.1	ევროკავშირის მიდგომა სახიფათობის მახასიათებლების შეფასებისადმი.....	28
4.2	სახიფათობის მახასიათებლების განმარტება.....	29
4.3	სახიფათობის მახასიათებლების მინიჭება .....	36
5	ნარჩენების დამუშავების (ოპერაციის) კოდები.....	38
5.1	ტერმინთა განმარტებები.....	38
5.2	აღდგენის ოპერაციების კოდების განმარტება .....	39
5.3	განთავსების ოპერაციების კოდების განმარტება .....	42
5.4	ნარჩენების დამუშავების კოდების მინიჭება .....	45
	დანართი 1 .....	48
	დანართი 2 .....	57

# 1 შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს ინსპექტორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ნარჩენების კლასიფიკაციის პროცესში, რომლიც შედეგადაც ხდება ნარჩენების იდენტიფიცირება ნარჩენების ინვენტარიზაციისა და სათანადო ანგარიშების შედგენის მიზნით.

ნარჩენების კლასიფიკაცია გულისხმობს ნარჩენებისათვის შესაბამისი კოდების მინიჭებას და მათი სახიფათობის მახასიათებლების იდენტიფიცირებას. პირველ რიგში, აუცილებელია იმის დადგენა, წარმოადგენს თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენს, რომელიც რეგულირდება ნარჩენების მართვის კოდექსით.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებმა ნარჩენების განმარტებისა და ნარჩენების კლასიფიკაციის გამოყენება დაიწყეს 25 წელზე მეტი ხნის წინ. ამ ხნის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებითა და ცოდნით მუდმივად ხდება ნარჩენების განმარტების დახვეწა და იმ მეთოდების დაზუსტება, რომლებითაც უნდა განისაზღვოს ნარჩენების სახიფათობის მახასიათებლები.

ნარჩენების კლასიფიკაციის გარდა, ნარჩენებს უნდა მიენიჭოს განთავსებისა და რეციკლირების კოდები (D და R კოდები). წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მოიცავს ამ კოდების აღწერასა და რეკომენდაციებს მათი გამოყენების შესახებ.

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა განიხილებოდეს როგორც ნარჩენების კლასიფიკაციის დანერგვის დამხმარე დოკუმენტი, რომელშიც განმარტებულია ნარჩენების კლასიფიკაციის მთავარი ეტაპები და იძლევა საშუალებას გაუმჯობესდეს ნარჩენების კლასიფიკაცია ქვეყანაში ევროკავშირის მიდგომების შესაბამისად.

სახელმძღვანელო ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა მასალა ნარჩენს, და რეგულირდება თუ არა ის საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით. მეორე ნაწილში მოცემულია ნარჩენების ნუსხა და ნარჩენისათვის ისეთი კოდის შერჩევის წესი და მეთოდი, რომელიც უკეთ ახასიათებს აღნიშნულ ნარჩენს. მესამე, ბოლო ნაწილში, აღწერილია ნარჩენების სახიფათობის მახასიათებლები და კონკრეტული ნარჩენისთვის შესაბამისი სახიფათობის მახასიათებლის მინიჭების მეთოდი. მეოთხე ნაწილში კი წარმოდგენილია ინფორმაცია ნარჩენების განთავსებისა და რეციკლირების კოდების შესახებ.

სახელმძღვანელო დოკუმენტი ეყრდნობა 2015 წელს გერმანული კომპანია BIPRO GmbH-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ევროკომისიისათვის („სახიფათო ნარჩენების განსაზღვრისა და კლასიფიკაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი“) და დიდი ბრიტანეთის გარემოს, სურსათისა და სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ((Defra),) მიერ მომზადებულ დოკუმენტს – „ნარჩენების იურიდიული განმარტებისა და მისი გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტი“.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ფორმები და ცხრილები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარჩენების კლასიფიკაციის პროცესის ზუსტად და ეფექტიანად ჩატარებას.

## 2 რა არის ნარჩენი

### 2.1 რატომ არის საჭირო ნარჩენების რეგულირება

ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ზირითადი მიზნებია: გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა, რესურსების გამოყენებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირება და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება. თუმცა, ეს არ არის მიზნების სრული ჩამონათვალი. ამისათვის აუცილებელია ჩამოვთვალოთ ის მიზეზებიც, რის გამოც ხდება ნარჩენების რეგულირება. სწორედ ეს მიზეზები განსაზღვრავენ გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, უნდა ჩაითვალოს თუ არა ესა თუ ის ნივთიერება თუ საგანი ნარჩენად. ძირითადი მიზეზებია:

- (ა) რისკი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის;
- (ბ) ნარჩენი როგორც რესურსი, და
- (გ) ეკონომიკური განზომილება.

ნარჩენების რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება იმის გამო, რომ ნარჩენები საფრთხეს უქმნიან გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას. აღნიშნული საფრთხე მომდინარეობს ნარჩენების ერთობლივი თვისებებიდან - მათი ბუნებისა და შედგენილობიდან, ნარჩენების წარმოქმნის წყაროებისა და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების შესაძლებლობიდან. განმარტების მიხედვით, ნარჩენები არის ის, რაც მის წარმოქმნელს არ სჭირდება და რასაც, საკუთარი ბუნების გამო, აქვს გარემოს დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების პოტენციალი. ნარჩენების მფლობელისთვის ნარჩენები ზედმეტი ტვირთია, რაც შეიძლება გახდეს ნარჩენებთან სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მიუღებელი მეთოდებით მოპყრობის, მათი მიტოვების ან გადაყრის მიზეზი. ხშირ შემთხვევაში ნარჩენების შედგენილობა უცნობია, ზოგჯერ სახიფათოც კი.

ხშირად ნარჩენები არ ასოცირდება იმ წარმოებულ პროდუქციასთან, რომელიც გაიყიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველებს მათი ყიდვის სურვილი ექნებათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ასეთი ნარჩენების წარმომქმნელებსა და მფლობელებს არა აქვთ დაინტერესება უზრუნველყონ დაცვის ისეთივე მექანიზმები, რომლებსაც უზრუნველყოფენ ნედლეულის მომპოვებლები, პროდუქციის მწარმოებლები და რეალიზატორები.

ამ მიზეზების გამო ნარჩენები კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს. რეგულირების მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ნარჩენების შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებისაგან და ნარჩენების უსაფრთხო აღდგენისა ან განთავსების უზრუნველყოფა.

ნარჩენების მართვის კოდექსის ის ძირითადი მიზნები, რომლებიც ეხება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, ჩამოყალიბებულია მუხლი 5(1)-ში:

„ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, კერძოდ, ისე, რომ ნარჩენების მართვამ:

ა) საფრთხე არ შეუქმნას წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორასა და ფაუნას;

ბ) არ გამოიწვიოს ზიანი ხმაურითა და სუნით;

გ) არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით – დაცულ ტერიტორიებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე“.

ამავე დროს, ნარჩენი რესურსია, მიუხედავად იმისა, უქმნის თუ არა ის საფრთხეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას. გარმოს დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არა მარტო ნარჩენების მართვის კონტროლის გზით, არამედ რესურსების ეფექტიანი გამოყენების მხარდაჭერითა და წახალისებით. ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 5(2)-ის თანახმად, გარემოს დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია არა მარტო ნარჩენების უსაფრთხო აღდგენა და განთავსება, არამედ ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია, მათ შორის პროდუქტების ხელახალი გამოყენება და იმ ნივთიერებებისა და საგნების რეციკლირება, რომლებიც ნარჩენებს წარმოადგენენ. ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 1-ის თანახმად, კოდექსის ამოცანას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს. ამავე დროს აღნიშნული მუხლი ხელს უწყობს რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებასა და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებას. ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 4 მოითხოვს, რომ ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია, საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკა და კანონმდებლობა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას. ნარჩენების მართვის იერარქია განსაზღვრავს ნარჩენების მართვის სხვადასხვა ვარიანტებს და ადგენს მათ რიგითობას გარემოზე ზემოქმედების მიხედვით:

- პრევენცია;
- ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება;
- რეციკლირება;
- სხვა სახის აღდგენა, მათ შორის, ენერჯის აღდგენა;
- განთავსება.

ყველაზე მდგრად და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტად ითვლება პირველ რიგში წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის შემცირება. ნარჩენების მართვის იერარქია სწორედ ამ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას. ამავე დროს, იგი მხარს უჭერს ნარჩენების, როგორც რესურსის, ეფექტიან გამოყენებას. აქედან გამომდინარე, აღდგენის ოპერაციებს შორის რეციკლირება საუკეთესო ვარიანტია, რადგან უმეტეს შემთხვევაში რეციკლირებას მნიშვნელოვანი ეკოლოგიური უპირატესობა აქვს, გამოყენებული და დაზოგილი ენერჯისა და ნედლი მასალის თვალსაზრისით.

ნარჩენები არა მარტო გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური საკითხიცაა. ნარჩენი, მიუხედავად იმისა, რეციკლირებადია თუ არა ის, წარმოადგენს „საქონელს“, რომლის გადაადგილების თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია ადამიანებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების შესახებ ევროკავშირის პრინციპიდან გამომდინარე.

## 2.2 ნარჩენის განსაზღვრა

ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 3(ა) ნარჩენებს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს...“

ნარჩენების აღნიშნული განმარტება ანალოგიურია ნარჩენების ჩარჩო დირექტივის (WFD) მუხლი 3(1)-ში მოცემული განმარტებისა და შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. იგი ასევე იძლევა ნარჩენების განმარტების ევროკავშირის გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას.

აღნიშნული განმარტება ადგენს პასუხისმგებელ პირს - „ნარჩენების მფლობელს“, რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას - „ნარჩენების მოშორებას“, და იმ მომენტს, როდესაც ხდება აღნიშნული საქმიანობის რეგულირება - „იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს“.

აღსანიშნავია, რომ ტერმინს „ნარჩენების მფლობელი“ ფართო მნიშვნელობა აქვს და ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 3(ჟ)-ს თანახმად „ნარჩენების მფლობელი არის ნარჩენების წარმომქმნელი (ყველა ის პირი, რომლის საქმიანობის შედეგადაც წარმოიქმნება ნარჩენი) ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ნარჩენებს. შესაბამისად, „ნარჩენების მფლობელს“ მართლაც ძალიან ფართო მნიშვნელობა აქვს და შეიძლება იყოს მწარმოებელი, ნარჩენების შესანახი ადგილის ოპერატორი, გადამზიდი, იმპორტიორი და ექსპორტიორი. ჩვეულებრივ, ნარჩენების მფლობელი არის პირი, რომელიც ხელს აწერს კონტრაქტებს ნარჩენების გადაზიდვაზე, გადამუშავებასა და განთავსებაზე. თუ მოხდა ნარჩენების არალეგალური გადაზიდვა, უნდა გამოძიებული იქნეს ეს ვისი პასუხისმგებლობაა: მძღოლის, რომელმაც ჯეროვნად არ შეასრულა თავისი მოვალეობა, თუ გადამზიდი კომპანიის - როგორც იურიდიული პირის.

ნივთიერება ან საგანი ნარჩენად მათი მოშორების შედეგად გარდაიქმნება. ამ შემთხვევაში ტერმინ „მოშორებას“ სპეციფიური მნიშვნელობა აქვს და შეიძლება არ ემთხვეოდეს მის იმ განმარტებას, რომელიც ლექსიკონებშია მოცემული. იგი მოიცავს ნივთიერების ან საგნის არა მარტო მოშორებას, არამედ აღდგენას ან გადამუშავებას (რეციკლირებას). ამა თუ იმ ნივთიერების ან საგნის მოშორების საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტული პირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა ნარჩენების ჩარჩო დირექტივის (WFD) მიზნებთან (მაგ., გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა კონკრეტული შემთხვევა მასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობების მიხედვით უნდა შეფასდეს.

გარდა ამისა, ნივთიერება ან საგანი ნარჩენად გადაიქცევა მაშინაც, როდესაც მისი მფლობელი დააპირებს მის მოშორებას. როდესაც არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ნივთიერება თუ საგანი გამოყენებულ იქნება წარმოებაში, ნივთიერება ან საგანი ნარჩენად კლასიფიცირდება.

### 2.3 გამონაკლისები ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან

მუხლი 2(2) ადგენს იმ კონკრეტული ნარჩენების ჩამონათვალს, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროს. თუმცა, აღნიშნული მუხლი ამ ნივთიერებებს არ იღებს ნარჩენების კატეგორიიდან. ამ მუხლით ხდება მხოლოდ კონკრეტული სახის ნარჩენების ამოღება ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან. ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება:

ა) რადიოაქტიური ნარჩენები;

ბ) ატმოსფეროში აიროვანი გაფრქვევები;

გ) მიწა (პირვანდელ ადგილზე – *ინ სიტუ*), მათ შორის, ამოუღებელი დაბინძურებული ნიადაგი, მიწასთან განუყოფლად დაკავშირებული შენობები;

დ) დაუბინძურებელი ნიადაგი, ბუნებაში გავრცელებული მასალა, რომელიც მშენებლობის პროცესში გათხრების შედეგად არის ამოღებული, თუ მასალა უეჭველად გამოყენებული იქნება მშენებლობის მიზნებისათვის მისი ბუნებრივი ფორმით;

ე) ჩამდინარე წყლები, წყლის ობიექტების (მათ შორის, შავი ზღვის) ჩამდინარე წყლებით ან/და ნარჩენებით დაბინძურება;

ვ) ხმარებიდან ამოღებული ფეთქებადი ნივთიერებები;

ზ) ფერმერულ ან სატყეო მეურნეობაში გამოყენებული ფეკალური მასები/ნაკელი და ბუნებრივი წარმოშობის სხვა არასახიფათო მასალები;

თ) სამთო გადამუშავების ნარჩენები – კარიერებზე მუშაობის და მინერალური რესურსების შესწავლის, მოპოვების, გადამუშავებისა და შენახვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები;

ი) ხმარებიდან ამოღებული სამხედრო მნიშვნელობის ქიმიური ნივთიერებები;

კ) სამელიორაციო სისტემებზე განხორციელებული საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად ამოღებული დაუბინძურებელი მასა (ნატანი), რომელიც სისტემების გასხვისების ზოლებში უნდა განთავსდეს.

ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან კონკრეტული სახის ნარჩენის ამოსაღებად გასათვალისწინებელია ამ ნარჩენის **სრული** განმარტება. მაგალითად, განვიხილოთ პუნქტი დ-ს შემთხვევა: ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან არ არის ამოღებული ყველა სახის „დაუბინძურებელი ნიადაგი, ბუნებაში გავრცელებული მასალა, რომელიც მშენებლობის პროცესში გათხრების შედეგად არის ამოღებული“. ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან ამოღებულია მხოლოდ ის „მასალა, რომელიც უეჭველად იქნება გამოყენებული მშენებლობის მიზნებისათვის მისი ბუნებრივი ფორმით“.

ასევე, პუნქტი ზ: ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროდან არ არის ამოღებული ყველა სახის „ფეკალური მასები/ნაკელი და ბუნებრივი წარმოშობის სხვა არასახიფათო მასალები“, ამოღებულია მხოლოდ მათი ის ნაწილი, რომელიც „გამოიყენება ფერმერულ ან სატყეო მეურნეობაში“ სასუქად.



## ***2.4 თანმდევი პროდუქტი (by-product)***

ნარჩენის განმარტების პრაქტიკაში გამოყენებამდე ხშირად აუცილებელია იმის დადგენა, თუ რას წარმოადგენს ნივთიერება თუ საგანი: არის ის ნარჩენი თუ თანმდევი პროდუქტი. ნარჩენების მართვის კოდექსი არ განიხილავს თანმდევ პროდუქტებს, თუმცა ნარჩენების ჩარჩო დირექტივაში მათ სათანადო ყურადღება ექცევა.

ნარჩენების ჩარჩო დირექტივის მუხლი 5(1)-ის თანახმად, ნივთიერება ან საგანი, წარმოქმნილი წარმოების პროცესის შედეგად, რომლის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს ამ ნივთიერებისა თუ საგნის წარმოება, შეიძლება ჩაითვალოს არანარჩენ თანმდევ პროდუქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ცნობილია ნივთიერებისა ან საგნის შემდგომი დანიშნულება/გამოყენება;
- ბ) შესაძლებელია ნივთიერებისა ან საგნის გამოყენება ჩვეულებრივი სამრეწველო პროცესებისგან განსხვავებული მეთოდებით მისი შემდგომი დამუშავების გარეშე;
- გ) ნივთიერების ან საგნის წარმოქმნა წარმოადგენს სამრეწველო პროცესის შემადგენელ ნაწილს; და
- დ) ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება კანონიერია - ნივთიერება ან საგანი აკმაყოფილებს საქონელთან, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, განსაზღვრულს მათი გამოყენების კონკრეტული სახეებისთვის, და არ იწვევს უარყოფით ზემოქმედებას გარემოსა თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

## ***2.5 კრიტერიუმები იმის დასადგენად, არის თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენი***

იმის დასადგენად, არის თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენი, დადგენილია კრიტერიუმები, რომლებსაც შეკითხვების სახით წარმოგიდგენთ. შეკითხვები ფორმულირებულია ისეთნაირად, რომ მათზე გაიცეს დიახ/არა პასუხები. თითოეული კითხვის შემდეგ მოცემულია განმარტება, რომელიც დაგეხმარებათ პასუხის გაცემაში. კითხვები დალაგებულია მნიშვნელობის მიხედვით და ამიტომ მათზე პასუხის გაცემა უნდა მოხდეს თანმიმდევრობით პირველიდან ბოლო კითხვამდე. თუ რომელიმე კითხვის შემდეგ დაადგენთ, რომ ეს ნარჩენია (ანუ პასუხია „დიახ“), პროცესი წყდება. სხვა შემთხვევაში გადავდივართ შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 1:** ნივთიერება ან საგანი წარმოებულია მათი გამოყენების ან ბაზარზე განთავსების მიზნით, თუ ხდება მისი ხელახალი გამოყენება წინასწარ განსაზღვრული იგივე მიზნების შესაბამისად?

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ამ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“, ნივთიერება ან საგანი ნარჩენი არ არის. თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“ მაშინ გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 2:** წარმოადგენს თუ არა ნივთიერება ან საგანი საწარმოო პროცესის თანმდევ პროდუქტს?

საწარმოო პროცესებიდან მორჩენილი მასალა, ზოგადად, ნარჩენს წარმოადგენს. თუმცა, საწარმოო პროცესებიდან მორჩენილი მასალა შეიძლება ჩაითვალოს თანმდევ პროდუქტად იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულ იქნება გარკვეული პირობები. თუ

ნივთიერება ან საგანი თანმდევი პროდუქტია, ის ნარჩენად არ ჩაითვლება. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვემოთ მოცემულ ხუთივე შეკითხვაზე პასუხი იქნება „დიახ“, მაშინ ადვილად გავარკვევთ, რომ მორჩენილი მასალა არის თანმდევი პროდუქტი და არა ნარჩენი:

- არის ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება რეალური და არა მხოლოდ შესაძლებელი?
- შესაძლებელია მისი პირდაპირ გამოყენება დამუშავების გარეშე?
- ნივთიერების ან საგნის წარმოქმნა წარმოადგენს სამრეწველო პროცესის შემადგენელ ნაწილს?
- აკმაყოფილებს თუ არა ნივთიერება ან საგანი საქონელთან, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს მათი გამოყენების კონკრეტული სახეებისთვის?
- შემდგომი გამოყენებისას შეიძლება თუ არა სრულად გამოვრიცხოთ მისი უარყოფით ზემოქმედება გარემოსა თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე?

თუ ზემოაღნიშნულ ერთ კითხვაზე მაინც პასუხი არის „არა“ ნივთიერება ან საგანი არ არის თანმდევი პროდუქტი და გადაადით შემდეგ შეკითხვაზე.

**კითხვა 3:** აუცილებელია თუ არა ნივთიერების ან საგნის მოშორება საბოლოო განთავსებით?

ნივთიერების ან საგნის მოშორება საბოლოო განთავსებით შეიძლება აუცილებელი გახდეს კანონმდებლობის მოთხოვნით, აგრეთვე, იმის გამო, რომ მისი მდგომარეობა ან მოხმარება შეიძლება სახიფათო იყოს (მაგ., ცალკეული ვადაგასული წამლები). თუ ეს ასეა, მაშინ ნივთიერება ან საგანი ნარჩენია.

თუ პასუხია „დიახ“, მაშინ კლასიფიცირდება როგორც ნარჩენი. თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, გადაადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 4:** გადაცემულია ნივთიერება ან საგანი განთავსების ან აღდგენის ოპერაციის ჩატარების მიზნით?

იმ შემთხვევაში, თუ ნივთიერება ან საგანი გადაცემულია განთავსების ან აღდგენის ოპერაციის ჩატარების მიზნით, აღნიშნული ნივთიერება ან საგანი ნარჩენია.

ხანდახან ძნელია იმის ახსნა, თუ რა არის „აღდგენის ოპერაცია“ და რა არის პროდუქტის ჩვეულებრივი გამოყენება. მაგალითად, პირობებიდან გამომდინარე, „საწვავად გამოყენება“ შეიძლება იყოს როგორც „აღდგენის ოპერაცია“, ასევე პროდუქტის ჩვეულებრივი გამოყენება. თუ რომელიმე კონკრეტული ოპერაცია წარმოადგენს ნარჩენების აღდგენის გავრცელებულ მეთოდს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს არის აღდგენის ოპერაცია. განთავსებისა და აღდგენის ოპერაციების კოდები მოყვანილია ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართებში. მაგალითად:

- თუ ხდება ნარჩენი ნავთობპროდუქტების ფილტრაცია, მაშინ გამოიყენება კოდი **R9** - “ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება“

- თუ ჯართი გამოიყენება ახალი მეტალის საწარმოებლად, მაშინ კოდი არის **R4** - “მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა“
- თუ ხდება ნარჩენის ინსინერაცია და მითებული ენერგია გამოიყენება გათბობის ან ელექტროენერჯის მისაღებად, მაშინ შესაბამისი კოდია **R1** - „საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად“
- თუ ნარჩენების განთავსდება ნაგავსაყრელზე ან დაიმარხება გამოიყენება კოდი **D1** - „მიწაში ან მიწაზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და სხვ.)“
- თუ ხდება ნარჩენების ინსინერაცია მიღებული ენერჯის გამოყენების გარეშე, მაშინ შეესაბამება კოდი **D10** „მიწაზე ინსინერაცია“.

თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 5:** ნივთიერება ან საგანი უარყოფითი (დაბალი) ეკონომიკური ღირებულებისაა?

დადებითი ეკონომიკური ღირებულება ნიშნავს რომ ერთი სუბიექტი მეორე სუბიექტს გადასცემს საგანს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. უარყოფითი ეკონომიკური ღირებულება კი ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა ერთი სუბიექტი მეორეს გადასცემს საგანს და თანხას ამ საგნის მიღებისთვის. მაგალითად, ნარჩენი განთავსდება ნაგავსაყრელზე და ნარჩენების წარმომქმენლი უხდის ნაგავსაყრელის ოპერატორს ნარჩენის მიღებისთვის.

თუ ნივთიერებას ან საგანს აქვს დაბალი ან უარყოფითი ეკონომიკური ღირებულება, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნივთიერება ან საგანი ნარჩენია. ასეთ დროს ნივთიერება ან საგანი მწარმოებლისა და მფლობელისათვის ზედმეტ ტვირთად იქცევა და მათ ამ ნივთიერების ან საგნის თავიდან მოშორებისკენ უბიძგებს.

თუ პასუხია „დიახ“ ნივთიერება ან საგანი ნარჩენია. თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“ გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 6:** არის თუ არა ნივთიერება ან საგანი სახიფათო ან დამაბინძურებელი?

ნარჩენი შეიძლება საკმაოდ უსაფრთხო იყოს, ასევე შესაძლებელია გარკვეული ნარჩენების დამუშავება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. მეორე მხრივ, ზოგიერთი არანარჩენი პროდუქტი შეიძლება იყოს დამაბინძურებელი ან სახიფათო (მაგ., მომწამლავი ქიმიკატები). აქედან გამომდინარე, საფრთხესთან დაკავშირებული შეკითხვა არ გვეხმარება იმის გარკვევაში, არის თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენი.

აღნიშნული შეკითხვა უნდა დაისვას მაშინ, როდესაც ნივთიერება ან საგანი არის ან გახდა დამაბინძურებელი, არის მონარჩენი, არასასურველი ან ზედმეტი მისი მფლობელისათვის. ასეთ შემთხვევაში, ნივთიერებისა ან საგნის დამაბინძურებელი ან სახიფათო ბუნება მიუთითებს იმას, რომ ნივთიერება ან საგანი არის ნარჩენი.

თუ პასუხია „დიახ“ ნივთიერება ან საგანი არის ნარჩენი და თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“ გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 7:** ვარგისია თუ არა ნივთიერება ან საგანი გამოსაყენებლად?

ის ნივთიერებები ან საგნები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენება აღარ არის შესაძლებელი (მაგ., ვარგისიანობის ვადის გასვლის გამო), დაზიანებულია ან უვარგისია გამოსაყენებლად, სავარაუდოდ, ნარჩენებს წარმოადგენენ.

შესაბამისად, თუ პასუხია „დიახ“ ნივთიერება ან საგანი არ არის ნარჩენი და თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“ გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა.8:** არის თუ არა გადაცემული ან მიყიდული ნივთიერება/საგანი მეორადი საქონელი?

ნივთიერება ან საგანი შეიძლება მის მფლობელს აღარ უნდოდეს, მაგრამ შესაძლებელი იყოს მათი სხვისთვის გადაცემა ან მიყიდვა დამუშავების ან გადამამუშავების გარეშე მათი თავდაპირველი დანიშნულებით გამოყენების მიზნით. ზოგადად, ასეთ შემთხვევაში, ნივთიერება ან საგანი ნარჩენი არ არის.

ასეთი საგნების მაგალითია მეორადი ტანსაცმელი. თუმცა მხოლოდ ისეთი მეორადი ტანსაცმელი, რომელიც გამოსადეგია გასაყიდად. შესაბამის პუნქტებში ჩაბარებული ნახშირი ტანსაცმელი განიხილება როგორც ნარჩენი და მათი გადარჩევის შემდეგ მხოლოდ გარკვეული ნაწილი არ არის ნარჩენი. დანარჩენი კვალავ ნარჩენად კვალიფიცირდება.

შესაბამისად, თუ პასუხია „დიახ“ ნივთიერება ან საგანი არ არის ნარჩენი და თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“ , საგანი ნარჩენს წარმოადგენს.

## **2.6 როდის აღარ ითვლება ნარჩენი ნივთიერება ან საგანი ნარჩენად**

მას შემდეგ, რაც მოხდება ნივთიერებისა ან საგნის მოშორება და ის იქცევა ნარჩენად, ჩვეულებრივ, საჭიროა გარკვეული ზომების მიღება იმისათვის, რომ აღნიშნული ნივთიერება ან საგანი აღარ იყოს ნარჩენი. ეს შეიძლება იყოს დამუშავების როგორც შედარებით მარტივი, ასევე კომპლექსური მეთოდი, რომელიც აღდგენის ერთ ან მეტ ოპერაციას მოიცავს. იმისათვის, რომ ნარჩენი ნივთიერება ან საგანი აღარ იყოს ნარჩენი, მან აღდგენის ოპერაციების მთელი რიგი უნდა გაიაროს. შემდეგი კრიტერიუმები/კითხვები დაგვეხმარება იმის გარკვევაში, არის თუ აღარ არის ნარჩენი ნივთიერება ან საგანი ნარჩენი:

**კითხვა 1:** ნარჩენი მხოლოდ წინასწარაა დამუშავებული და არა სრულად აღდგენილი ან რეციკლირებული?

თუ ნარჩენმა გაიარა ერთჯერადი დამუშავება, თუმცა კიდევ საჭიროებს დამუშავებას იმისათვის, რომ გახდეს ვარგისი ხელახალი გამოყენებისათვის, იგი ისევ ნარჩენს წარმოადგენს. დახარისხება და ზომების შემცირების (წინასწარი დამუშავება) ოპერაციები

ხშირად ამ კატეგორიას მიეკუთვნება. წინასწარი დამუშავება ხელს უწყობს შემდგომ აღდგენასა და რეციკლირებას.

თუ პასუხია „დიახ“ ნივთიერება/საგანი რჩება ნარჩენად, ხოლო თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“. გადაადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 2:** მოშორებულია თუ არა ნარჩენიდან ყველა არასასურველი ნივთიერება?

ხშირ შემთხვევაში, ნარჩენი დაბინძურებულია თავისი წარმომავლობით ან გამოყენების შედეგად. მასალა ითვლება ნარჩენად იმ მომენტამდე, სანამ არ მოხდება დაბინძურების გაუვნებელყოფა იმ დონემდე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი თავიდან გამოყენება თავდაპირველი დანიშნულებით, ან არ გარდაიქმნება ახალ პროდუქტად.

მაგალითად, ნახმარი ზეთები არის ნარჩენი, მაგრამ ფილტრაციის ან დისტილაციის შემდეგ შესაძლებელია მათი ხელახალი გამოყენება იგივე მიზნებისთვის. შესაბამისად, ასეთი ზეთები აღარ არის ნარჩენი.

შესაბამისად, თუ კითხვაზე პასუხია „დიახ“ ნივთიერება/საგანი აღარ არის ნარჩენი, ხოლო თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, გადაადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 3:** შეუძლია თუ არა აღდგენილ/რეციკლირებულ მასალას არანარჩენი მასალის ჩანაცვლება?

იმ შემთხვევაში, თუ აღდგენით ან რეციკლირებით მიღებული მასალა შესაფერისია იმისათვის, რომ ჩანაცვლოს არანარჩენი მასალა, მაშინ აღდგენით ან რეციკლირებით მიღებული მასალა აღარ არის ნარჩენი.

მაგალითად, პალეტები, რომლებიც მზადდება ნარჩენი პლასტიკიდან არ უნდა განვიხილოთ ნარჩენად, რადგან მათ სრულად შეუძლიათ იმ ფუნქციის შესრულება, რაც თავიდანვე ამ მიზნით შექმნილ პლასტიკის პალეტებს.

შესაბამისად, თუ კითხვაზე პასუხია „დიახ“ ნივთიერება/საგანი აღარ არის ნარჩენი, ხოლო თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, გადაადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 4:** თუ ნარჩენი სრულად აღდგენილი/რეციკლირებულია, სარწმუნოა (მაღალია) მისი გამოყენების შესაძლებლობა?

აღდგენით/რეციკლირებით მიღებული მასალა აღარ იქნება ნარჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღდგენილი ან რეციკლირებული მასალის გასაღების საიმედო ბაზარი და გარკვეულია მისი მომავალი გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული მასალა ისევ ნარჩენი იქნება.

მაგალითად, ნარჩენების დამახარისხებელ ქარხანას შეუძლია გამოუშვას კატეგორიებად დამახარისხებული ნარჩენი ქაღალდი, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ქაღალდის გადამამუშავებელი ქარხნის მიერ (= სრულად აღდგენა). თუმცა, სანამ

დახარისხებულ ნარჩენ ქაღალდს არ მიიტანენ ქაღალდის ქარხნამდე და სანამ ქარხანა არ მიიღებს (ჩაიბარებს) მას, ასეთი დახარისხებული ქაღალდი კვლავ ნარჩენად ითვლება. შესაბამისად, ნარჩენი ქაღალდი, რომელიც შენახულია რეციკლირების ობიექტზე და ნაგავსაყრელზე, ყოველთვის ნარჩენად უნდა განიხილოს.

შესაბამისად, თუ კითხვაზე პასუხია „დიახ“ ნივთიერება/საგანი აღარ არის ნარჩენი, ხოლო თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 5:** შესაძლებელია თუ არა აღდგენილი/რეციკლირებული მასალის გამოყენება ნარჩენების მართვის კანონმდებლობის მიზნების დაცვით?

აღდგენილი ან რეციკლირებული მასალა ისე ითვლება ნარჩენად, თუ იგი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის უფრო დიდი რისკს, ვიდრე ის არანარჩენი მასალა, რომელსაც ის ანაცვლებს, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოდის ნარჩენების მართვის კოდექსის მიზნებთან.

მაგალითად, ნარჩენი, რომელსაც გააჩნია მაღალი კალორიულობა, შეიძლება დაიწვას წინასწარი დამუშავების გარეშე, მაგრამ ქარხანა, რომელიც ამ ნარჩენს საწვავად იყენებს, უნდა განიხილოს იქნეს როგორ ნარჩენების ინსინერაციის და შესაბამისად, ვალდებულია იხელმძღვანელოს ნარჩენების ინსინერაციისთვის დადგენილი რეგულაციებით.

შესაბამისად, თუ კითხვაზე პასუხია „დიახ“ ნივთიერება/საგანი აღარ არის ნარჩენი, ხოლო თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, გადადით შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა 6:** გარდაიქმნა თუ არა ნარჩენი სხვა პროდუქტად?

წინა კითხვისაგან განსხვავებით, თუ ნარჩენი გარდაიქმნა ისეთ დონემდე, რომ იქცა ახალ პროდუქტად, ის აღარ უნდა ჩაითვალოს ნარჩენად. ახალი პროდუქტი განსხვავებული უნდა იყოს საწყისი ნარჩენი მასალისაგან, ამიტომ მისი შედგენილობის უმნიშვნელო ცვლილება საკმარისი არ იქნება.

ეს კითხვა დაგეხმარებათ განასხვაოთ ნამდვილი რეციკლირება, რომელსაც მივყავართ ახალ პროდუქტამდე, ცრუ რეციკლირებისგან. ეს არის მცდელობა იმისა, რომ მოხდეს იმ პროდუქტის იურიდიული განმარტება, რომელიც მზადდება დამუშავებული ნარჩენისგან. ამას აქვს უფრო იურიდიული და არა პრაქტიკული მიზნები.

თუ კითხვაზე პასუხია „დიახ“ ნივთიერება/საგანი აღარ არის ნარჩენი, ხოლო თუ პასუხია „არა“ ან „უცნობია“, ნივთიერება/საგანი ნარჩენად უნდა განიხილოს.

## 3 ნარჩენების კლასიფიკაცია და შეფასება

### 3.1 შესავალი

წინამდებარე ნაწილში განმარტებულია, თუ როგორ უნდა მოხდეს ნარჩენების კლასიფიკაცია და მათი სახიფათობის მახასიათებლების გამოვლენა. აუცილებელია

შეგროვოთ ინფორმაცია თითოეულ ნარჩენზე ისე რომ შეძლოთ მისი კლასიფიცირება. ნარჩენების კლასიფიკაცია:

- უნდა მოხდეს ნარჩენების გადაადგილებამდე, განთავსებამდე ან აღდგენამდე
- შეტანილი უნდა იქნეს ნარჩენებთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტებსა და ჩანაწერებში
- საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამოყენებული უნდა იქნეს თუ არა სახიფათო ნარჩენების გადაადგილების წესები
- აუცილებელია ნარჩენების მართვის სათანადო ნებადართული ვარიანტის შესარჩევად.

ნარჩენების კლასიფიცირებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი სახიფათო მახასიათებლების განსაზღვრის პასუხისმგებლობა ნარჩენების წარმომქმნელს ეკისრება.

მუნიციპალური ნარჩენების შემთხვევაში, ნარჩენების კლასიფიცირება შემგროვებელი კომპანიის პასუხისმგებლობაა. ზოგადი პრაქტიკაა, რომ შემგროვებელი კომპანია ნარჩენების კლასიფიკაციის ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტს. იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების შეგროვების მომსახურებას ახორციელებს კერძო კომპანია, კერძო კომპანიის მხრიდან ნარჩენების კლასიფიკაციის შესახებ ანგარიშგების ვალდებულება უნდა იყოს კერძო კომპანიასა და მუნიციპალიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების ნაწილი.

სახელმწიფოს წარმომადგენლები (ინსპექტორები, სამინისტროს თანამშრომლები) მხოლოდ რეკომენდაციებს აძლევენ ნარჩენების წარმომქმნელებს. მათ არ უნდა განუსაზღვრონ ნარჩენების წარმომქმნელებს თუ რომელი კოდი მიანიჭონ ნარჩენს. ეს პრინციპი ყოველთვის დაცული უნდა იყოს, რადგან ნარჩენებს კლასიფიკაციის იურიდიული პასუხისმგებლობა ყოველთვის ნარჩენების წარმომქმნელების/მფლობელების პასუხისმგებლობაა.

### **3.2 ნარჩენების კლასიფიკაციისა და შეფასების პროცედურა**

ნარჩენების კლასიფიკაციის პროცედურა 6 ეტაპს მოიცავს.

*ნარჩენების კლასიფიკაციის ეტაპები:*

1. შეამოწმეთ, საჭიროა თუ არა ნარჩენების კლასიფიკაცია
2. განსაზღვრეთ, რომელი კოდი ან კოდები შეიძლება შეესაბამებოდეს კონკრეტულ ნარჩენს
3. განსაზღვრეთ შეფასების სახე, რომელიც საჭიროა სათანადო კოდის შესარჩევად

*ნარჩენების შეფასების ეტაპები:*

4. განსაზღვრეთ ნარჩენის ქიმიური შედგენილობა
5. შეაფასეთ ნარჩენის სახიფათობის მახასიათებლები
6. მიანიჭეთ კლასიფიკაციის კოდი და აღწერეთ სახიფათობის მახასიათებლები

**ეტაპი 1: შეამოწმეთ, საჭიროა თუ არა ნარჩენის კლასიფიკაცია**

უნდა დარწმუნდეთ, რომ მასალა ნარჩენია და საჭიროა მისი კლასიფიკაცია. თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო, კომერციული და სამრეწველო ნარჩენი საჭიროებს კლასიფიკაციას. კლასიფიკაცია აუცილებელია ოჯახებიდან წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის. მასალა არ საჭიროებს კლასიფიკაციას იმ შემთხვევაში, თუ:

- ის არ არის ნარჩენი, ან
- ნარჩენი არ რეგულირდება ნარჩენების მართვის კოდექსით (მუხლი 2).

წინა თავში განმარტებულ იქნა, თუ რა შემთხვევაშია ნივთიერება ან საგანი ნარჩენი ნარჩენების მართვის კოდექსის განმარტების შესაბამისად.

თუ მასალა ნარჩენია და საჭიროა მისი კლასიფიკაცია, უნდა გადავიდეთ ეტაპი 2-ზე.

## **ეტაპი 2: განსაზღვრეთ, რომელი კოდი ან კოდები შეიძლება შეესაბამებოდეს კონკრეტულ ნარჩენს**

მეორე ეტაპზე ხდება იმის დადგენა, თუ როგორ არის ნარჩენი კლასიფიცირებული ნარჩენების ნუსხაში. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა სახის შეფასებაა საჭირო ნარჩენისთვის ნარჩენების ნუსხიდან შესაბამისი საბოლოო კოდის მისანიჭებლად.

ნარჩენების ნუსხა წარმოადგენს ყველა სახის ნარჩენის კატალოგს. ნუსხა 20 თავისაგან (ნარჩენების ჯგუფისაგან) შედგება. თავები გამოყენებულ უნდა იქნეს სწორი თანმიმდევრობით, რაც აღწერილია 3.4 ქვეთავში. აღნიშნული თავები შეიცავენ როგორც კლასიფიკაციის კოდებს, ასევე თითოეული კოდის აღწერას. კლასიფიკაციის კოდი და ამ კოდის აღწერა წინამდებარე დოკუმენტში მოხსენიებული იქნება როგორც „კოდის ხაზი“.

ნარჩენი შეიძლება შეესაბამებოდეს რამდენიმე საკოდო ხაზს და ამიტომ, კოდის შერჩევის პროცესი არ უნდა გაჩერდეს პირველივე შესაფერისი კოდის ხაზის აღმოჩენისთანავე. უკეთესია, მოხდეს მთელი ნარჩენების ნუსხის გავლა და ყველა შესაბამისი საკოდო ხაზის იდენტიფიცირება.

ეს მეთოდი დაგეხმარებათ სათანადო კოდის (კოდების) შერჩევაში. ზოგიერთი კოდი ერთმანეთთან კავშირშია, ამიტომ ამ ეტაპზე ერთზე მეტი კოდის შერჩევა ჩვეულებრივი მოვლენაა.

თუ ეს ყველაფერი შეასრულეთ, გადადით ეტაპი 3-ზე.

## **ეტაპი 3: განსაზღვრეთ შეფასების სახე, რომელიც საჭიროა სათანადო კოდის (კოდების) შესარჩევად**

ამ ეტაპზე უნდა დავადგინოთ, საჭიროა თუ არა შეფასება და რა ზემოქმედებას მოახდენს ის ნარჩენის კლასიფიკაციაზე. შეფასების სახე დამოკიდებულია შერჩეული კოდის ან კოდების ტიპზე. კოდები, მათი აღწერილობიდან გამომდინარე, იყოფა სამ ჯგუფად: :



- „ნარჩენების სარკისებური კოდები“ - კოდები, რომლებიც შეესაბამება ნარჩენს, რომელიც შეიძლება იყოს ან სახიფათო ან არასახიფათო
- სახიფათო ნარჩენის კოდი - კოდი, რომლებიც შეესაბამება ნარჩენს, რომელიც ყოველთვის სახიფათოა
- არასახიფათო ნარჩენის კოდი - კოდი, რომლებიც შეესაბამება ნარჩენს, რომელიც ყოველთვის არასახიფათოა

### **„ნარჩენების სარკისებური კოდები“**

„ნარჩენების სარკისებური კოდები“ წარმოადგენს კოდების წყვილს ნარჩენების ნუსხის ერთი და იგივე ქვეჯგუფიდან, სადაც

1. პირველი კოდის ხაზი აღნიშნავს ნარჩენს, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს და/ან ნარევეს. შესაბამისად, ის ითვლება სახიფათო ნარჩენად და აღნიშნულია ვარსკვლავით (\*);
2. მეორე კოდის ხაზი აღნიშნავს აღნიშნავს იგივე ტიპის ნარჩენს, თუმცა არ შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს და/ან ნარევეს. შესაბამისად ის არ ითვლება სახიფათო ნარჩენად და არ არის აღნიშნული ვარსკვლავით (\*).

მაგალითი:

11 01 11\* წყალშემცველი გასახეხი (ნარეცხი) სითხეები, რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს

11 01 12 წყალშემცველი გასახეხი (ნარეცხი) სითხეები, რომელიც არ კლასიფიცირდება 11 01 11 კოდით

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი შეესაბამება „სარკისებურ“ კოდს, უნდა გადავიდეთ მე-4 და მე-5 ეტაპებზე და გავაგრძელოთ სახიფათობის მახასიათებლების შეფასება.

აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მფლობელები ვალდებული არიან დაადგინონ, სახიფათოა თუ არა „სარკისებური“ კოდის შესაბამისი ნარჩენი. ნარჩენისთვის კოდის მინიჭება არ შეიძლება მანამ, სანამ არ დავასრულებთ 4 -5 ეტაპებს.

### **„სახიფათო ნარჩენის კოდი“**

თუ კოდი აღნიშნულია ვარსკვლავით, ეს ნიშნავს, რომ ის „სახიფათო“ საკოდო ხაზია. შესაბამისად, ნარჩენი სახიფათოა და შეფასების გაგრძელება მის კლასიფიკაციაზე გავლენას არ მოახდენს. თუმცა აუცილებელია ნარჩენის შეფასება მისი სახიფათობის მახასიათებლების გამოსავლენად. ამისათვის უნდა გავიაროთ სახიფათობის მახასიათებლების შეფასების მე-4 და მე-5 ეტაპები.

არსებობს გამონაკლისები, როდესაც „სახიფათო ნარჩენის კოდები“ დაკავშირებულია სხვა კოდებთანაც. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მათი გათვალისწინებაც იმის დასადგენად, ხომ არ არის ეს სხვა კოდი უფრო შესაფერისი მოცემული ნარჩენისათვის.

კავშირი სხვა კოდთან (საკოდო ხაზთან) საკოდო ხაზში (კოდის აღწერილობაში) შემდეგნაირად გამოიხატება „... სხვა ნარჩენები, რომლებიც არ არის ნახსენები XX XX XX-ში“. ასეთ შემთხვევებში, საჭიროა გადამოწმდეს დაკავშირებული საკოდო ხაზიც და შეფასდეს, ახდენს თუ არ ეს კავშირი გავლენას კონკრეტული ნარჩენისათვის კოდის მინიჭების პროცესში.

#### **„არასახიფათო ნარჩენის კოდები“**

თუ ნარჩენი კლასიფიცირებულია „არასახიფათო ნარჩენის კოდით“, უმეტეს შემთხვევაში ის არასახიფათოა შემდგომი შეფასების გარეშე. ამიტომ შეგვიძლია გადავიდეთ პირდაპირ მე-6 ეტაპზე.

თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენის მფლობელისთვის ცნობილია, რომ არასახიფათო ნარჩენს აქვს ერთი ან მეტი სახიფათობის მახასიათებელი, მან ნარჩენს უნდა დაადოს სახიფათო ნარჩენისთვის დამახასიათებელი ეტიკეტი და მართოს ის ნარჩენების მართვის კოდექსითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით სახიფათო ნარჩენებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

არსებობს გამონაკლისები, როდესაც „არასახიფათო ნარჩენის კოდები“ დაკავშირებულია სხვა კოდებთანაც. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მათი გათვალისწინებაც იმის დასადგენად, ხომ არ არის ეს სხვა კოდი უფრო შესაფერისი მოცემული ნარჩენისათვის.

#### **ეტაპი 4: დაადგინეთ ნარჩენის ქიმიური შედგენილობა**

იმისათვის, რომ დავადგინოთ, აქვს თუ არა ნარჩენს სახიფათობის მახასიათებლები, აუცილებელია ნარჩენის ქიმიური შედგენილობის ცოდნა. ნარჩენის შედგენილობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი გზებით:

- გავიგოთ, როგორ გამოიყენებოდა ის მასალა, რომლისგანაც წარმოიქმნა ნარჩენი, ან როგორ ხდებოდა ნარჩენის მართვა.
- მწარმოებლის მიერ გაცემული პროდუქტის უსაფრთხოების სერტიფიკატიდან იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი მიიღება ისეთი პროდუქტისგან, რომლის შედგენილობაც არ არის შეცვლილი. იმ შემთხვევაში, როდესაც შემადგენლობა შეცვლილია შენახვისა ან გამოყენების შედეგად, ამ ინფორმაციაზე ბოლომდე დაყრდნობა არ შეიძლება.

მაგალითად, ზეთებს ახლავს დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს გამაფრთხილებელ ინფორმაციას ზეთების აალებადი თვისების შესახებ. ნახმარი ზეთების შემადგენლობა არ იცვლება ამ მხრივ და შესაბამისად, ნახმარ ზეთებსაც აქვს აალებადობის სახიფათო თვისება. მეორე მაგალითია მჟავები, რომლებიც კოროზიულია, მაგრამ გამოყენებული მჟავა შეიძლება განეიტრალებული იყოს და ამგვარად, მისი კოროზიულობასთან დაკავშირებული თვისება მინიმუმამდე შემცირდეს. შესაბამისად, ნახმარ მჟავებს შეიძლება აღარ ახასიათებდეს კოროზიულობის სახიფათობა.

## **ეტაპი 5: შეფასეთ ნარჩენის სახიფათობის მახასიათებლები**

ეტაპი 5-ზე უნდა განვიხილოთ სახიფათობის ყველა მახასიათებელი. ისინი დანომრილია HP 1-დან HP 15-მდე. სახიფათობის მახასიათებლების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. ნაწილი 4.

არსებობს ორი მეთოდი იმის დასადგენად, აქვს თუ არა ნარჩენს სახიფათობის მახასიათებლები. ესენია:

- პროდუქტის უსაფრთხოების სერტიფიკატი იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი წარმოიქმნება მასალის ან პროდუქტისგან ისე, რომ ამ მასალის/პროდუქტის შედგენილობა არ არის შეცვლილი
- ნარჩენების სახიფათო თვისებების შესახებ წარსული გამოცდილება/ცოდნა (თუ ასეთი ნარჩენისგან მომდინარეობდა უარზოფით ზემოქმედება წარსულში).

ამ ეტაპზე თქვენ უნდა იცოდეთ ან უნდა გქონდეთ საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, თუ რომელ კონკრეტულ ნივთიერებებს შეიცავს ნარჩენი და რა საფრთხეს ქმნიან ისინი.

მასლა ან პროდუქტები ხშირად ეტიკეტირებულია საფრთხის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნებით. თუ პროდუქტზე დატანილია საფრთხის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს პროდუქტი ავლენს სახიფათობის მახასიათებელს. თუმცა, პროდუქტზე პირობითი ნიშნის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ პროდუქტს სახიფათო თვისებები არა აქვს.

## **ეტაპი 6: მინიჭეთ კლასიფიკაციის კოდი და აღწერეთ სახიფათობის მახასიათებლები**

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მე-2 და მე-3 ეტაპზე შერჩეული კოდების ტიპები.

თუ თქვენს მიერ იდენტიფიცირებულ კოდებს განსხვავებული რიგითი ნომრები აქვთ, მათი განხილვა რიგითობით უნდა დაიწყოთ. უფრო დაბალი რიგითი ნომრის მქონე კოდი შეირჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალი რიგითობის მქონე კოდებში შესაფერისი არ იძებნება.

თუ ნარჩენს მიესადაგება „სახიფათო ნარჩენის კოდი“ :

- თქვენ უნდა გამოიყენოთ კლასიფიკაციის მითითებული კოდი
- ადგენთ რომ ნარჩენი სახიფათოა
- კლასიფიკაციისათვის არ არის საჭირო სახიფათობის მახასიათებლების შეფასება
- 4 - 6 ეტაპებზე დადგენილი შედგენილობა და სახიფათობის მახასიათებლები გამოიყენება მხოლოდ ზედნადების შესავსებად

თუ ნარჩენს მიესადაგება „ნარჩენების სარკისებური კოდი“, რომელშიც არის ზოგადი მითითება სახიფათო ნივთიერებაზე, მაშინ:

- ნარჩენს უნდა მიენიჭოს სახიფათო ნარჩენის კოდი, თუ ის სახიფათობის მახასიათებელს ავლენს; და თუ
- ნარჩენი სახიფათოა.

თუ ნარჩენი მიესადაგება „სარკისებურ“ კოდს, რომელშიც არის მითითება კონკრეტულ სახიფათო ნივთიერებასა ან სახიფათო მახასიათებელზე, მაშინ:

- ნარჩენს უნდა მიენიჭოს „სარკისებური სახიფათო“ ელემენტის კოდი, თუ ნარჩენი ავლენს სახიფათობის მახასიათებელს მასში ამ კონკრეტული სახიფათო ნივთიერების არსებობის გამო, ან ავლენს კონკრეტულ სახიფათობის მახასიათებელს
- ნარჩენი სახიფათოა, და
- ნარჩენის შედგენილობა, სახიფათობის ყველა მახასიათებელი, დადგენილი 4 -6 ეტაპებზე, გამოიყენება ტრანსპორტირების დოკუმენტაციის (ზედნადების) შესავსებად.

როდესაც ნარჩენი არ ავლენს სახიფათობის მახასიათებელს მასში ამ კონკრეტული სახიფათო ნივთიერების არსებობის გამო, არ ავლენს კონკრეტულ სახიფათობის მახასიათებელს და არ შეიცავს მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებს (POPs), მას „სარკისებური არასახიფათო“ ელემენტის კოდი უნდა მიენიჭოს.

### **3.3 როგორ გამოვიყენოთ ნარჩენების ნუსხა**

დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია ნარჩენების ნუსხის გამოყენების წესი ნარჩენისთვის სათანადო კოდის ან კოდების შესარჩევად.

კოდი ან კოდები ადგენენ:

- რა სახის შეფასებაა საჭირო სათანადო კოდის შესარჩევად
- სახიფათოა თუ არა ნარჩენი

#### **3.3.1 შესავალი**

ნარჩენების ნუსხა წარმოადგენს კლასიფიკაციის ოფიციალურ სისტემას, რომელიც გამოიყენება ნარჩენების კლასიფიკაციისათვის და იმის დასადგენად, სახიფათოა თუ არა კონკრეტული ნარჩენი. ნუსხაში მოცემულია მისი გამოყენების ინსტრუქციებიც. ნუსხა გამოყენებულ უნდა იქნეს წარმოდგენილი ინსტრუქციების შესაბამისად.

ნარჩენების ნუსხის სტრუქტურა

#### **3.3.2 ნარჩენების ჯგუფები**

ნარჩენების ნუსხა შედგება 20 ჯგუფისგან, რომლებიც დანომრილია 01-დან 20-მდე. ზოგიერთ ჯგუფში კლასიფიკაცია ემყარება სამრეწველო ნარჩენის წარმომქმნელი პროცესის სახეობას ან ბიზნეს საქმიანობას, მაგალითად:

- ჯგუფი 04: ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ტყავის, ბეწვეულისა და საფეიქრო წარმოებისას

სხვა ჯგუფებში კი კლასიფიკაცია ხდება ნარჩენების სახეობის მიხედვით. მაგალითად:

- ჯგუფი 13: ზეთის და თხევადი საწვავის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 ჯგუფებში)

ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფების სათაურები. ნარჩენი უნდა მოხვდეს სათაურით აღნიშნულ სფეროში იმისათვის, რომ განხილულ იქნეს მის ფარგლებში. ზოგიერთი სათაური, როგორცაა, მაგალითად ჯგუფი 13-ის სათაური (ზეთის და თხევადი საწვავის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 ჯგუფებში)), გამორიცხავს კონკრეტულ ნარჩენებს აღნიშნული ჯგუფიდან.

### 3.3.3 ნარჩენების ქვეჯგუფები

ჯგუფების (თავების) უმეტესობა შეიცავს ქვეჯგუფებს (ქვეთავებს). ჯგუფები დაყოფილია ქვეჯგუფებად სამრეწველო პროცესის ან ბიზნეს საქმიანობის, ან ნარჩენის სახეობის მიხედვით. თითოეულ ქვეჯგუფს მინიჭებული აქვს ორნიშნა კოდი, რომელიც ჯგუფის კოდთან ერთად ოთხნიშნა კოდს ქმნის).

მაგალითად:

- ჯგუფი 04: ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ტყავის, ბეწვეულისა და საფეიქრო წარმოებისას
  - ქვეჯგუფი 04 02: საფეიქრო მრწველობის ნარჩენები
- ჯგუფი 13: ზეთის და თხევადი საწვავის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 თავებში)
  - ქვეჯგუფი 13 01: ნარჩენი ჰიდრაულიკური ზეთები

როგორც ჯგუფების შემთხვევაში, ქვეჯგუფების სათაურებიც ძალიან მნიშვნელოვანია.

### 3.3.4 კონკრეტული კოდები (კოდის ხაზები)

თითოეულ ქვეჯგუფში წარმოდგენილია კონკრეტული ნარჩენების შესაბამისი კოდები. მათ მინიჭებული აქვთ დამატებითი ორნიშნა ნომერი, რომელიც ჯგუფისა და ქვეჯგუფის კოდთან ერთად ექვსნიშნა კოდს ქმნის. მაგალითად:

- ჯგუფი 04: ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ტყავის, ბეწვეულისა და საფეიქრო წარმოებისას
  - ქვეჯგუფი 04 02: საფეიქრო მრწველობის ნარჩენები
  - კონკრეტული კოდი: 04 02 16\* საღებავები და პიგმენტები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს

კოდთან ერთად წარმოდგენილია კოდის აღწერა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა მაგალითად, ნარჩენის სახეობა, ნარჩენის წარმომქმნელი პროცესი ან საქმიანობა, ნარჩენის შედგენილობა ან თვისებები.

მაგალითი 1. რა კავშირშია ჯგუფებისა და ქვეჯგუფების სათაურები კოდების აღწერასთან

მე-20 ჯგუფში მოცემულია კოდები ნარჩენების შემდეგი სახეობისათვის:

მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას

ქვეჯგუფში 20 01 მოცემულია კოდები ნარჩენების შემდეგი სახეობისთვის:

- 20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01-ისა)

20 01 ქვეჯგუფში ერთ-ერთი ექვსნიშნა კოდია:

- 20 01 01 ქალაქი და მუყაო

იმისათვის, რომ ნარჩენს მიენიჭოს 20 01 01 კოდი, ნარჩენი უნდა იყოს:

- მუნიციპალური (ან მუნიციპალური ნარჩენის მსგავსი), ნარჩენების ჯგუფის კოდის (20) აღწერილობიდან გამომდინარე
- შეგროვებული განცალკევებული ნაწილების (ფრაქციის) სახით, ქვეჯგუფის სათაურიდან გამომდინარე
- არ უნდა შეიცავდეს შესაფუთ მასალას, სათაურიდან 15 01 ქვეჯგუფის ნარჩენების გამორიცხვის გამო
- უნდა იყოს ქალაქი ან მუყაო, ან მათი ნარევი

თუ ნარჩენი არ აკმაყოფილებს ოთხივე მოთხოვნას, ეს ნიშნავს იმას, რომ კოდი 20 01 01 არ არის ამ კონკრეტული ნარჩენისთვის შესაფერისი.

ამ შემთხვევაში უნდა დაუბრუნდეთ 3.2 ნაწილს და მოსინჯოთ სხვა კოდი მე-2 ეტაპის შესაბამისად.

### **3.4 ნარჩენების ნუსხის გამოყენების ინსტრუქცია**

ნარჩენების ნუსხა შეიცავს ინსტრუქციებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა კონკრეტული ნარჩენისთვის სათანადო კოდის შესარჩევად. უნდა გვახსოვდეს, რომ ნარჩენების ნუსხა მხოლოდ ცნობარი არ არის. ნარჩენისთვის „სათანადო“ კოდის ან კოდების შესარჩევად:

- უნდა შევისწავლოთ მთელი ნუსხა და არა მხოლოდ ერთი რომელიმე ნარჩენების ჯგუფი
- გამოვიყენოთ ჯგუფები (თავეები) ინსტრუქციებში განსაზღვრული თანმიმდევრობით (აღწერილი 1 - 5 ეტაპებში ქვემოთ)

1 - 4 ეტაპები დაგვეხმარება ნარჩენისთვის სათანადო კოდის ან კოდების შერჩევაში. ხშირ შემთხვევაში, საჭიროა ერთზე მეტი კოდის განხილვა სანამ მიიღებთ გადაწყვეტილებას ყველაზე შესაფერისი კოდის მინიჭების თაობაზე.

ეტაპი 5 აღწერს კოდების სხვადასხვა სახეობებს და განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კოდების განხილვა შესაფერისი კოდის შესარჩევად.

### **ეტაპი 1. შეამოწმეთ ნარჩენების ჯგუფები 01- 12 და 17-20.**

პირველი ეტაპია ნარჩენის წყაროს იდენტიფიცირება. ამისათვის პირველ რიგში შევხედოთ ნარჩენების ჯგუფებს (თავეებს) 01-დან 12-მდე და 17-დან 20-მდე.

ეს თავეები ეხება ნარჩენების წარმომქმნელ სამრეწველო პროცესებს ან ბიზნეს საქმიანობებს, ასევე მუნიციპალურ ნარჩენებს. ჩვეულებრივ, სამეწარმეო საქმიანობა წარმოქმნის მუნიციპალურ (თავი 20) და სხვა ნარჩენებს ერთი ან მეტი პროცესისა თუ საქმიანობის შედეგად. აქედან გამომდინარე, განხილულ უნდა იქნეს ნარჩენების რამდენიმე ჯგუფი, რათა დავფაროთ ერთი მწარმოებლის მიერ გენერირებული ყველა ტიპის ნარჩენი.

მაგალითად, ავეჯის მწარმოებელმა კომპანიამ, როგორც მინიმუმ, უნდა შეამოწმოს ნარჩენების შემდეგი ჯგუფები:

03 – ეს ჯგუფი იძლევა იმ ნარჩენების ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ხის მასალის დამუშავების შედეგად

04 – თუ გამოიყენება ტყავი ან ქსოვილი ავეჯის წარმოებისას

08 – თუ ხდება შეღებვა ან წებოს გამოყენება

13 – თუ გამოიყენება რამე ჰიდრაულიკური დანადგარი

15 – ნარჩენებისათვის, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გაწმენდის ან დამცავი ტანსაცმლის გამოყენების შედეგად

19 – თუ ავეჯის წარმოების შედეგად მიღებული ჩამდინარე წყალი იწმინდება ადგილზე

20 – თუ ქარხანას აქვს კაფეტერია ან უზრუნველყოფს მომუშავე პერსონალის საკვებით მომარაგებას ადგილზე

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი ესადაგება ერთ-ერთს ამ ჯგუფებიდან და ერთ ან მეტ კოდს, შერჩეულ უნდა იქნეს ყველაზე შესაფერისი კოდი.

თუ, მაგალითად, თქვენ საქმე გაქვთ ზედაპირის ქიმიური დამუშავების პროცესთან, რომელიც წარმოქმნის წყალშემცველ გასახეხ (ნარეცხ) სითხეებს, უნდა შეარჩიოთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი კოდებიდან:

11 01 11\* წყალშემცველი გასახეხი<sup>1</sup> სითხეები, რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს

---

<sup>1</sup> იგულისხმება სითხე, რომელიც დამუშავებული ზედაპირის ჩამორეცხვით მიიღება, ე.წ. ნარეცხი სითხე.

11 01 12 წყალშემცველი გასახეხი სითხეები, რომელსაც არ ვხვდებით 11 01 11 პუნქტში იმისათვის, რომ მიიღოთ გადაწყვეტილება სათანადო კოდის (11 01 11\* თუ 11 01 12 ) შერჩევის თაობაზე, უნდა გადავიდეთ მე-5 ეტაპზე.

პირველ ეტაპზე არ უნდა გამოიყენოთ ისეთი ექვსნიშნა კოდი, რომელსაც აქვს '99' დაბოლოება, რადგან უფრო შესატყვისი კოდი შეიძლება სხვა თავებში იპოვოთ. იხილეთ ეტაპი 4.

#### **ეტაპი 2: შეამოწმეთ 13, 14 და 15 ნარჩენების ჯგუფები (თავები).**

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების შესაბამისი კოდი არ მოიძებნა 01 – 12 და 17 – 20 თავებში, უნდა შეამოწმოთ თავები 13, 14 და 15 იმისათვის, რომ იპოვოთ შესაფერისი კოდი. ამ ეტაპზე უკვე შესაძლებელია 13, 14 და 15 თავებში მოყვანილი '99' დაბოლოების მქონე კოდების განხილვაც.

ნარჩენების აღნიშნული ჯგუფები შეიცავენ შემდეგი სახის ნარჩენების ქვეჯგუფებსა და კოდებს:

- ზეთებისა და საწვავის ნარჩენები
- ორგანული გამხსნელების ნარჩენები, გამაგრებლები (რეფრიჯერანტები)
- შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები.

#### **ეტაპი 3: შეამოწმეთ ნარჩენების ჯგუფი 16**

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების შესაბამისი კოდი ან კოდები არ იძებნება 01 – 15 და 17 – 20 ჯგუფებში, უნდა შეამოწმოთ მე-16 ჯგუფი. შესაძლებელია ამ ჯგუფში მოყვანილი '99' დაბოლოების მქონე კოდების განხილვაც.

ნარჩენების ჯგუფი 16 შეიცავს მრავალი ზოგადი სახის ნარჩენების ქვეჯგუფებსა (სულ 11 ქვეჯგუფს) და კოდებს, როგორცა მაგალითად:

- სატრანსპორტო საშუალებები
- ელექტროხელსაწყოები და ბატარეები
- ქიმიური ნივთიერებები
- წყალშემცველი თხევადი ნარჩენები.

#### **ეტაპი 4: '99' კოდები**

'99' კოდები უწოდებენ ისეთი კოდებს ნარჩენების ნუსხიდან, რომელთაც აქვთ ორციფრიანი დაბოლოება „99“. ასეთი ზოგადი კოდები ენიჭება ნარჩენებს, რომელიც მიეკუთვნება ჯგუფს ან ქვეჯგუფს, მაგრამ ზუსტად არ მიესადაგება ამ ჯგუფის/ქვეჯგუფის კონკრეტულ კოდს. ასეთ ზოგად კოდებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „განუსაზღვრელი სხვაგვარი ნარჩენი“.

შესაძლებელია, რომ 1 - 3 ეტაპებზე ვერ მოხერხდეს შესაფერისი კოდის შერჩევა. თუმცა, ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა, ამიტომ გირჩევთ, თავიდან გაიაროთ ეს ეტაპები.



იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვერ მოხერხდა ნარჩენისათვის კონკრეტული კოდის მინიჭება, გადავდივართ „99“ კოდებზე. თუ ნარჩენი წარმოქმნილია 1 – 12 და 17 – 20 თავებით განსაზღვრული ერთ-ერთი სამრეწველო პროცესის შედეგად, შეგიძლიათ უკვე გამოიყენოთ „99“ კოდი, რომლის გამოყენებაც თქვენ პირველ ეტაპზე არ შეგეძლოთ. მაგალითად, განვიხილოთ ნარჩენების ჯგუფი 20: ეს ჯგუფი მოიცავს განცალკევებულად შეგროვებული ნაწილების ქვე-ჯგუფს (20 01). იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული გამოცალკევებული „ნაწილები“ არ მოიძებნა ამ ქვე-ჯგუფში, ნარჩენს უნდა მიენიჭოს 20 01 99 კოდი. „99“ კოდის მქონე ნარჩენის მაგალითია მუნიციპალური ნარჩენიდან გამოცალკევებული ჰიგიენური ნარჩენები (მაგ. პამპერსები) (20 01 99).

„99“ კოდის გამოყენების შესაძლებლობის მიუხედავად, უნდა ეცადოთ რომ გამოიყენოთ „ყველაზე შესაფერისი“ ან ყველაზე მიახლოებული კოდი. არ გამოიყენოთ „99“ კოდი, თუ ნარჩენების ნუსხის სხვა თავებში უკეთესი ალტერნატივები მოიძებნება. მაგალითად, ვეტერინარული საქმიანობის შერეულ ნარჩენებს უნდა მიენიჭოს კოდი 18 01 10\*. მიუხედავად იმისა, რომ ეს კოდი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას ეხება, ვეტერინარული ნარჩენებისთვის ის აბსოლუტურად მისაღებია.

#### **ეტაპი 5: შეარჩიეთ კოდისა და საჭირო შეფასების სახეობა**

1 - 4 ეტაპებზე თქვენ უნდა შეგერჩიათ ერთი ან ერთზე მეტი კოდი, რომელიც მიესადაგება კონკრეტულ ნარჩენს. ამ ეტაპზე კი თქვენ უნდა მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება კოდის მინიჭების თობაზე.

როგორც იცით, ნარჩენების ნუსხაში წარმოდგენილ სახიფათო ნარჩენების ექვსნიშნა კოდს დამატებული აქვს ვარსკვლავი (\*).

#### **„სახიფათო ნარჩენების კოდები“**

ასეთ კოდებს მიეკუთვნება მაგალითად, 13 07 01\* - საწვავი ზეთი და დიზელი.

ნარჩენს ენიჭება კოდი იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენის სახელი ესადაგება ამ კოდის შესაბამის აღწერას. ჩვეულებრივ, აღწერა ეხება მასალის სახეობას ან ქვესახეობას (მაგ., ფილტრების ნაღები ან ზეთის სახეობა), ან, ხანდახან ნარჩენის წარმომქმნელ საქმიანობას ან პროცესს. თუ ნარჩენი ესადაგება აღწერას, მას შესაბამისი კოდი უნდა მიენიჭოს. თუმცა, ნარჩენების სახელები საკმაოდ ზოგადია და არ განსაზღვრავს ერთ კონკრეტულ ნარჩენს.

როგორც სახიფათო ნარჩენი, ისინი ნარჩენების ნუსხაში აღნიშნულია ვარსკვლავით (\*).

სახიფათო ნარჩენის კლასიფიცირებისათვის არ არის აუცილებელი მასში არსებული ქიმიური ნივთიერებების დეტალური იდენტიფიცირება და ქიმიური შემადგენლობის მიხედვით იმის დადგენა, სახიფათოა თუ არა ნარჩენი. თუმცა, აუცილებელია გაარკვიოთ, რომელ სახიფათო მახასიათებელს (იმ შემთხვევაში, თუ ავლენს) ავლენს ნარჩენი. არსებობს უჩვეულო „სახიფათო ნარჩენების კოდებიც“, რომლებიც დაკავშირებულია სხვა კოდებთან. ასეთ შემთხვევაში, უნდა დაადგინოთ, მიესადაგება თუ არა ნარჩენი „სახიფათო“ კოდის აღწერას. ასეთი კოდების მაგალითებია:

- სახიფათო ნარჩენების კოდები ნარჩენი ზეთებისთვის რომლებიც განსხვავდებიან ზეთის სახეობისა და მასში პოლიქლოროირებული ბიფენილების (PCB) არსებობის მიხედვით (13 03 01 და 13 03 06)

- ისეთ ნარჩენ ელექტრომოწყობილობებთან დაკავშირებული „სახიფათო“ და „არასახიფათო“ კოდები, რომლებიც განსხვავდებიან მათში სახიფათო კომპონენტების არსებობის ან არარსებობის მიხედვით (იხ. მაგალითი 5).

ქვემოთ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია და საილუსტრაციო მაგალითები ასეთი სახის კოდების შესახებ.

**მთავარი საყურადღებო საკითხი: არსებობს სახიფათო ნარჩენები სახიფათო მახასიათებლების გარეშე**

ნარჩენი, რომელსაც ესადაგება სახიფათო კოდი (მაგ., არასაკვები ზეთი), ყოველთვის სახიფათოა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნარჩენების წარმომქმნელი/მფლობელი ამტკიცებს, რომ ეს ნარჩენი არ ავლენს სახიფათობის მახასიათებელს, მას მაინც სახიფათო კოდი შეესაბამება. კანონი კრძალავს ასეთი ნარჩენისთვის სხვა სახის კოდის მისადაგებას.

**„არასახიფათო ნარჩენების კოდები“**

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების ნუსხისკოდი არ არის აღნიშნული ვარსკვლავით და ის არ არის დაკავშირებული სარკისებურ ან სახიფათო კოდთან, ეს კოდი ავტომატურად არასახიფათოა. მაგალითად:

03 01 01 ნარჩენი ქერქი და კორპი

თუ ნარჩენი ესადაგება კოდის აღწერას, მაშინ შეიძლება ამ კოდის მინიჭება. თუმცა, არასახიფათო კოდად კლასიფიცირებამდე უნდა შევამოწმოთ, ხომ არ არსებობს მასთან დაკავშირებული ისეთი ელემენტები, რომელიც აუცილებლად უნდა განვიხილოთ. ერთმანეთთან დაკავშირებული კოდების მქონე ნარჩენების მაგალითებია:

- ნარჩენი ელექტრომოწყობილობები და ბატარეები
- მედიკამენტები
- სტაბილიზირებული/გამყარებული ნარჩენები

**„ნარჩენების სარკისებური კოდები“**

ზოგიერთი ნარჩენი ავტომატურად სახიფათო ან არასახიფათო არ არის. ასეთ ნარჩენებს „სარკისებური კოდების მქონე ნარჩენები ეწოდებათ.

ასეთ ნარჩენები ნარჩენების ნუსხაში წარმოდგენილია:

- ვარსკვლავით (\*) აღნიშნული სახიფათო კოდებით, და
- ალტერნატიული არასახიფათო კოდებით, რომელიც ვარსკვლავით (\*) არ არის აღნიშნული

სახიფათო „სარკისებურ“ ელემენტს თავის აღწერის ნაწილში აქვს „კონკრეტული“ ან „ზოგადი“ მინიშნება „სახიფათო ნივთიერებაზე“. მაგალითად:

07 01 11\* ჩამდინარე წყლების ადგილზე გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნალექები, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს.

ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის), არასახიფათო სარკისებური კოდი დაკავშირებულია თავის მეწყვილე კოდთან შემდეგი სიტყვების საშუალებით „გარდა ... კოდით გათვალისწინებულისა“. მაგალითად:

07 01 12 ჩამდინარე წყლების ადგილზე გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნალექები, გარდა 07 01 11\* კოდით გათვალისწინებულისა

ქვემოთ მოცემულია სარკისებური წყვილის მაგალითი, სადაც სახიფათო ელემენტს აქვს „ზოგადი“ მინიშნება სახიფათო ნივთიერებაზე (ნივთიერებებზე).

„სარკისებური“ კოდების სხვა მაგალითები:

17 03 01\* ასფალტი რომელიც შეიცავს ფისებს

17 03 02 ასფალტი გარდა 17 03 01

ეს სარკისებური წყვილის მაგალითია, სადაც სახიფათო კოდს აქვს „კონკრეტული“ მინიშნება სახიფათო ნივთიერებაზე, ამ შემთხვევაში ფისზე. სახიფათო კოდი შეირჩევა იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი შეიცავს კონკრეტულ სახიფათო ნივთიერებას (ამ შემთხვევაში ფისს) ისეთი კონცენტრაციით, რომ ნარჩენი ავლენს სახიფათობის მახასიათებელს.

**მთავარი საყურადღებო საკითხი: არსებობს უჩვეულო „ნარჩენების სარკისებური კოდები“**

ყველა სარკისებური კოდი არ არის დაკავშირებული ერთ კონკრეტულ არასახიფათო სარკისებურ კოდთან. ზოგიერთი სარკისებური კოდი შეიძლება დაკავშირებული იყოს ისევ სახიფათო კოდთან, სხვა სარკისებურ ან არასახიფათო კოდებთან.

ასეთი კოდები შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული კოდისგან შექმნილი ჯგუფების სახით. გარდა ამისა, სარკისებური არასახიფათო კოდი შეიძლება ყოველთვის არ იძებნებოდეს იმავე ჯგუფსა თუ ქვეჯგუფში.

ასეთი კოდების მაგალითებია:

- კოდი 01 03 06 – „ნარჩენები, რომლებიც არ არის ნახსენები 01 03 04 და 01 03 05-ში“ - დაკავშირებულია ორ სახიფათო კოდთან
- კოდი 06 13 02 „გამოყენებული აქტივირებული ნახშირი (გარდა 06 07 02)“ - დაკავშირებულია სხვა ქვეჯგუფის კოდთან
- კოდი 09 01 11 „ერთჯერადი ფოტოაპარატები ელემენტებით, რომლებიც განხილულია 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებში“ - დაკავშირებულია სახიფათო ნარჩენთან - ბატარეებთან 16 01 ქვეჯგუფში, რაც იმას ნიშნავს რომ მხოლოდ ისეთი ერთჯერადი ფოტოაპარატები განიხილებიან სახიფათო ნარჩენად, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ბატარეებს.
- ქვეჯგუფი 07 03 “ორგანული საღებავებისა და პიგმენტების წარმოების, მირების მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (გარდა 06 11)“ დაკავშირებულია 06 11 ქვეჯგუფთან „არაჩენები არაორგანული პიგმენტებისა და დამბურავი მასალების წარმოებიდან“

## 4 ნარჩენების სახიფათობის მახასიათებლები

### 4.1 ევროკავშირის მიდგომა სახიფათობის მახასიათებლების შეფასებისადმი

ევროკავშირის ქვეყნებში ნარჩენების სახიფათო თვისებების გამოვლენის უმთავრესი მიზანია ადამიანების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა. ამ თვალსაზრისით, ნარჩენების დადგენილი (ან სავარაუდო) სახიფათო თვისებების ცოდნა აუცილებელია იმ მეთოდების განსაზღვრისთვის, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს დაზიანებისა თუ ზიანის რისკების შესამცივლად.

ევროკავშირის ქვეყნებში სახიფათო თვისებების შეფასება ეფუძნება 1272/2008 რეგულაციას „კლასიფიკაცია, ეტიკეტირება და შეფუთვა“ (CLP რეგულაცია), რომელიც ადაპტირებულია გაეროს ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის საერთაშორისო სისტემასთან (გლობალურად ჰარმონიზებული სისტემა - GHS). დღეისათვის CLP რეგულაცია არ არის დანერგილი საქართველოში და შესაბამისად ვერ გამოიყენება ნარჩენების სახიფათობის შესაფასებლად. თუმცა, ამ რეგულაციის ტერმინოლოგია გამოყენებულია ნარჩენების სახიფათობის მახასიათებლების აღწერისას წინამდებარე დოკუმენტში.

ევროკავშირის კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს ზღვრულ ლიმიტებს სახიფათო ნივთიერებებისათვის. თუ ეს ლიმიტები გადაჭარბებულია, მაშინ ნარჩენს მოსალოდნელია, გააჩნდეს ერთი ან მეტი სახიფათობის მახასიათებელი. საქართველოში ნარჩენების კლასიფიკაციის სისტემა არც ამ მიდგომას მოიცავს, რადგან ეს მოითხოვს მნიშვნელოვან ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რაც შეიძლება არ არსებობდეს ქვეყანაში და შესაბამისად ამ მიდგომის შემოტანას შესაძლებელია, შეეფერხებინა ნარჩენების კლასიფიკაციის განხორციელების პროცესი. ასეთი ლიმიტების დანერგვამდე აუცილებელია ნარჩენების ანალიზისათვის საჭირო მეთოდოლოგიის და ტექნიკური სტანდარტების მიღება საქართველოში.

საქართველოში ნარჩენების მართვა ჯერ არ არის განვითარებული ისეთ დონემდე, რომ შესაძლებელი იყოს ევროკავშირის მიდგომის სრულად გამოყენება. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოდიფიცირებულ მიდგომას. აღნიშნული მიდგომა ემყარება ნარჩენების მფლობელის ცოდნას, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენის სახიფათო ნარჩენად კლასიფიკაციაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენს აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს სახიფათობის მახასიათებლები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის“ შესახებ კანონქვემდებარე აქტის მუხლი 6(2)-ის შესაბამისად. ეს ნიშნავს იმას, რომ ნარჩენის მფლობელს შეუძლია საკუთარი ცოდნის საფუძველზე, ქიმიური ანალიზის გარეშე, განსაზღვროს ნარჩენის სახიფათობის მახასიათებლები.

ევროკავშირის ქვეყნებშიც კი სახიფათო თვისებების შეფასება ყოველთვის არ ეფუძნება მკაცრ ანალიტიკურ შეფასებებს. ნარჩენების წარმომქმნელი თავისი ცოდნიდან გამომდინარე განსაზღვრავს სახიფათო თვისებებს და არ იყენებს გრძელ და ძვირადღირებულ კვლევებს (ტესტებს). ტესტირება ძირითადად მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდება, როცა ნარჩენების წარმომქმნელსა და განთავსების/რეციკლირების ობიექტის ოპერატორს განსახვავებული აზრი აქვთ ნარჩენის სახიფათო თვისებებთან დაკავშირებით.

## **4.2 სახიფათობის მახასიათებლების განმარტება**

### **H 1 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: ფეთქებადი**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 1 სახიფათობის მახასიათებელი „ფეთქებადი“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა ცეცხლის ალის ზემოქმედებით აფეთქდეს, ან რომლებიც ხახუნის მიმართ უფრო მგრძობიარეა, ვიდრე დინიტრობენზოლი”.

ფეთქებადად უნდა ჩაითვალოს ისეთი ნარჩენი, რომელიც ქიმიური რეაქციის შედეგად წარმოქმნის გაზს ისეთი რაოდენობით, წნევითა და სისწრაფით, რომ იწვევს მისი გარემომცველი საგნების დაზიანებას. სახიფათობის ასეთი მახასიათებელი აქვთ ისეთ ნარჩენებს, როგორცაა პიროტექნიკური ნარჩენები, ორგანული პეროქსიდების ნარჩენები და ფეთქებადი თვითრეაგირებადი ნარჩენები. ითვლება, რომ ამ ნივთიერებების შემცველი ნარჩენები სახიფათოა H 1 სახიფათობის მახასიათებლით.

ზოგიერთი ნივთიერება შეიძლება ფეთქებადი იყოს გარკვეულ პირობებში. ასეთი ნივთიერება შეიძლება აფეთქდეს ცეცხლთან კონტაქტის შედეგად ან გამომშრალ მდგომარეობაში. ამ სახის ნივთიერებები არ არიან სახიფათო H 1 სახიფათობის მახასიათებლით. მათი არსებობა ნარჩენებში განაპირობებს მათ სახიფათობას H 15 სახიფათობის მახასიათებლით.

### **HP 2 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: მჟანგავი**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, HP 2 სახიფათობის მახასიათებელი „მჟანგავი“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც სხვა ნივთიერებებთან, კერძოდ, აალებად ნივთიერებებთან, ურთიერთქმედებისას მაღალ ეგზოთერმულ რეაქციებს ავლენს.“

მჟანგავად უნდა ჩაითვალოს ისეთი ნარჩენი, რომელიც ჟანგბადთან კონაქტით იწვევს ან ხელს უწყობს სხვა მასალების წვას. მჟანგავ თვისებებს ავლენენ შემდეგი ქიმიური ნივთიერებები:

- პეროქსიდები
- ქლორატები
- პერქლორატები
- ნიტრატები
- პერმანგანატები

### **H 3 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება:**

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ორ კატეგორიად იყოფა: H 3-A: ადვილად აალებადი და H 3-B აალებადი.

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 3-A სახიფათობის მახასიათებელი „ადვილად აალებადი“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

- “თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული  $21^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლებია (მათ შორის, უკიდურესად აალებადი სითხეები);
- ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერთან ურთიერთქმედებისას ყოველგვარი ენერჯის გამოყენების გარეშე შესაძლოა გაცხელდეს და ცეცხლი გაუჩნდეს;
- მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვს უნარი, ცეცხლი გააჩინოს აალების წყაროსთან მცირე კონტაქტის დროსაც კი და რომლებიც აგრძელებს წვას ან შთანთქმას აალების წყაროსგან მოშორების შემდეგ;
- აირისებრი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჰაერში აალებადია ჩვეულებრივ წნევაზე;
- ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას საშიში ოდენობის ადვილად აალებად აირებს გამოყოფს”.

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 3- B სახიფათობის მახასიათებელი „აალებადი“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

- “თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული მეტია ან ტოლია  $21^{\circ}\text{C}$ -ისა და ნაკლებია ან ტოლია  $55^{\circ}\text{C}$ -ისა”.

აალებადობის სახიფათობის მახასიათებელი უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენი შეიცავს (ან შეიძლება შეიცავდეს) შემდეგ ნივთიერებებს:

- ლითიუმი
- ნატრიუმი
- მაგნიუმის ფხვნილი (თვითაალებადი)
- ალუმინის ფხვნილი (თვითაალებადი)
- ალუმინის ფხვნილი (სტაბილიზირებული)
- კალიუმი
- კალციუმი
- თუთიის ფხვნილი / თუთიის მტვერი (თვითაალებადი)
- ცირკონის ფხვნილი (თვითაალებადი)
- ალუმინის კარბიდი
- ლითიუმის ალუმინჰიდრიდი
- ნატრიუმის ჰიდრიდი
- კალციუმის ჰიდრიდი
- კალციუმის კარბიდი
- კალციუმის ფოსფიდი
- ალუმინის ფოსფიდი
- მაგნიუმის ფოსფიდი
- თუთიის ფოსფიდი
- დიეთილ (ეთილდიმეთილ) ალუმინი

**შენიშვნა:** სახიფათობის მახასიათებლების უახლეს ნუსხაში H 3-A და H 3-B მახასიათებლები გაერთიანებულია ერთ სახიფათობის მახასიათებელში - H 3 აალებადი.

#### **H 4 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: გამაღიზიანებელი - კანის გაღიზიანება და თვალის დაზიანება**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 4 სახიფათობის მახასიათებელი „გამაღიზიანებელი“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„არაკოროზიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც კანთან ან ლორწოვან მემბრანასთან დაუყოვნებელი, განგრძობადი ან განმეორებითი ურთიერთქმედებისას შესაძლოა ანთება გამოიწვიოს.“

ამ სახიფათო თვისებას ავლენენ ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ კანის დამწვრობას ან თვალის დაზიანებას, ან კანისა და თვალის გაღიზიანებას.

ზოგიერთი ნივთიერების, მაგალითად, მინერალური ზამბის, მიერ გამოწვეული მექანიკური სახის გაღიზიანებები HP 4-ის განმარტებაში არ მოიაზრება.

H 4 და H 8 სახიფათობის მახასიათებლები ერთმანეთთან კავშირშია, რადგან ორივე მათგანი ეხება ქსოვილის სხვადასხვა ხარისხით დაზიანების თვისებას.

გამაღიზიანებელი ნივთიერებების შემცველი სახიფათო ნარჩენები ავლენენ მხოლოდ გამაღიზიანებელ თვისებებს.

კოროზიული ნივთიერებების შემცველი სახიფათო ნარჩენები ავლენენ ან კოროზიულ, ან გამაღიზიანებელ თვისებებს ამ ნივთიერებების კონცენტრაციიდან გამომდინარე.

#### **H 5 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: მავნე**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 5 სახიფათობის მახასიათებელი „მავნე“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა ჯანმრთელობისათვის საშიშია.“

სახიფათობის აღნიშნულ მახასიათებელს ავლენს ნარჩენი, რომელიც იწვევს რომელიმე ორგანოს დაზიანებას ნარჩენთან ერთჯერადი ან მრავლობითი კონტაქტით, ან იწვევს ტოქსიკურ ეფექტს შესუნთქვის შემთხვევაში. ეს ნივთიერებები აზიანებენ ან შეუძლიათ დააზიანონ ორგანოები, გააღიზიანონ სასუნთქი გზები და გამოიწვიონ სიკვდილიც კი გადაყლაპვის ან შესუნთქვის შემთხვევაში.

#### **H 6 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: ტოქსიკური**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 6 სახიფათობის მახასიათებელი „ტოქსიკური“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნივთიერებები და პრეპარატები (მათ შორის, მეტად ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები), რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული, მკვეთრი ან ქრონიკული დაზიანება ან სიკვდილიც კი გამოიწვიოს”.

აღნიშნულ სახიფათობის მახასიათებელს ავლენს ნარჩენი, რომელსაც შუძლია გამოიწვიოს მძიმე ტოქსიკური ეფექტი ჩაყლაპვის, კანში შეღწევის ან შესუნთქვის შემთხვევაში.

### **H 7 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: კანცეროგენული**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 7 სახიფათობის მახასიათებელი „კანცეროგენული“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა სიმსივნე გამოიწვიოს ან მისი გაჩენის ალბათობა გაზარდოს.”

პოლიციკლური არომატული ჰიდროკარბონების (PAH) შემცველი ნარჩენი, ჩვეულებრივ, H7 -ის სახიფათობის მახასიათებლებს ავლენს.

### **H 8 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: კოროზიული**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 8 სახიფათობის მახასიათებელი „კოროზიული“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესაძლოა ცოცხალ ქსოვილთან ურთიერთქმედებისას დაშალოს იგი”.

სახიფათობის მახასიათებელს ავლენს ნარჩენი, რომელიც იწვევს კანის გაღიზიანებას და დამწვრობას და თვალის დაზიანებას. ნარჩენი, რომლის pH  $\leq 2$  ან  $\geq 11.5$ , უნდა ჩაითვალოს კოროზიულად HP 8 სახიფათობის მაჩვენებლით.

H 4 და H 8 სახიფათობის მახასიათებლები ერთმანეთთან კავშირშია, რადგან ორივე მათგანი ეხება ქსოვილის სხვადასხვა ხარისხით დაზიანების თვისებას.

### **HP 9 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: ინფექციური**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 9 სახიფათობის მახასიათებელი „ინფექციური“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ისეთ მიკროორგანიზმებს ან მათ ტოქსინებს, რომლებსაც, როგორც ცნობილია ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ან სხვა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება.”

არსებობს შეფასების ორი სახეობა:

- სარკისებური ელემენტის შესაბამის ნარჩენს უნდა მისადაგოს H 9 იმ შემთხვევაში, თუ ის შეიცავს მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილ ტოქსინს ისეთი მაღალი კონცენტრაციით, რომ ნარჩენი ავლენს მავნე (H 5) ან ტოქსიკურ (H 6) სახიფათობის



მახასიათებელს. ნარჩენები, რომლებიც შეიძლება იყოს ინფექციური მათში მიკრობული ტოქსინების არსებობის გამო, მოიცავს ისეთი კალაპოტებიდან ამოღებულ შლაკს და სხვა მასალას, სადაც ადგილი აქვს ციანობაქტერიების ყვავილობას.

- გავარკვიოთ, კლასიფიცირებულია თუ არა ინფექციურ ნარჩენად ისეთი სამედიცინო ნარჩენები, რომლებიც ასოცირდება ინფექციასთან.

**ასეთი სამედიცინო ნარჩენებია**

ნარჩენების ნუსხის ის კოდები, რომლებიც დაკავშირებულია H 9-თან:	
<b>18 01</b>	<b>ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში</b>
18 01 03*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით
<b>18 02</b>	<b>ნარჩენები კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ცხოველებში</b>
18 02 02*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით

დაკავშირებული არასახიფათო სამედიცინო ნარჩენები:	
<b>18 01</b>	<b>ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში</b>
18 01 04	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (მაგ., შესახვევი მასალა, თაბაშირი, თეთრეული, ერთჯერადი ტანისამოსი, საფენები)
<b>18 02</b>	<b>ნარჩენები კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ცხოველებში</b>
18 02 03	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით

18 01 04 და 18 02 03 არასახიფათოკოდებია, რომლებიც დაკავშირებულია 18 01 03\* და 18 02 02\*-თან იმ გაგებით, რომ თუ სამედიცინო ნარჩენი არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით, ის ნარჩენების ნუსხაში არასახიფათო კოდს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, არის თუ არა სამედიცინო ნარჩენი ინფექციური, საჭიროა კარგად გავიგოთ „სპეციალური მოთხოვნების“ მნიშვნელობა. სპეციალური მოთხოვნები - ეს ზოგადი ტერმინია, რომელიც გამოიყენება იმ საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებში, როლებითაც განსაზღვრულია საავდმყოფოებსა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები.

არასახიფათო ნარჩენების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია არასახიფათო და ინფექციური ნარჩენების ერთმანეთისგან დაშორება.

**HP 10 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: რეპროდუქციისთვის ტოქსიკური**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 10 სახიფათობის მახასიათებელი „რეპროდუქციისთვის ტოქსიკური“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა არამემკვიდრეობითი თანდაყოლილი პათოლოგიები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა გაზარდოს“.

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ვლინდება ისეთი ნარჩენის მიერ, რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს როგორც ზრდასრული ქალებისა და მამაკაცების სქესობრივ ფუნქციასა და ნაყოფიერებაზე, ასევე ბავშვის განვითარებაზე მუცლადყოფნის პერიოდში.

### **H 11 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: მუტაგენური**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 11 სახიფათობის მახასიათებელი „მუტაგენური“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა მემკვიდრეობითი გენეტიკური დეფექტები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა გაზარდოს.”

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ვლინდება ისეთი ნარჩენის მიერ, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მუტაცია - უჯრედის გენეტიკური მასალის რაოდენობისა და აგებულების შეუქცევადი ცვლილება.

### **H 12 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: ან მეტად ტოქსიკური აირების გამოყოფა**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 12 სახიფათობის მახასიათებელი შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

“ნარჩენები, რომლებიც წყალთან, ჰაერთან ან მჟავასთან ურთიერთქმედებისას ტოქსიკურ ან მეტად ტოქსიკურ აირებს გამოყოფს.”

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ვლინდება ისეთი ნარჩენის მიერ, რომელიც წყალთან ან მჟავასთან ურთიერთქმედებისას ძლიერ ტოქსიკურ აირებს გამოყოფს.

ქვემოთ მოცემულია იმ ნივთიერებების ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნარჩენის მიერ H 12 სახიფათობის მახასიათებლის გამოვლენა (შენიშვნა: ეს არ არის ამ თვისების მქონე ნივთიერებების სრული სია)

- ფოსფორის პენტასულფიდი
- 3,5-დიქლორ-2,4-დიფტორ-ბენზოილ ფტორიდი (DCDFBF)
- მეტამ-ნატრიუმი
- ბარიუმის სულფიდი
- ბარიუმის პოლისულფიდი
- კალციუმის სულფიდი
- კალციუმის პოლისულფიდი
- კალიუმის სულფიდი
- ამიაკის პოლისულფიდი
- ნატრიუმის სულფიდი

- ნატრიუმის პოლისულფიდი
- ნატრიუმის დითიონიტი
- ნატრიუმის ჰიპოქლორიტი, Cl ხსნარი 2 აქტიური
- კალციუმის ჰიპოქლორიტი, Cl ხსნარი 2 აქტიური
- დიქლორიზოციანურის მჟავა
- დიქლორიზოციანურის მჟავას ნატრიუმის მარილი
- ნატრიუმის დიქლორიზოციანურატი, დიჰიდრატი
- ქლოჰიდრატი
- წყალბადის ციანიდის მარილები (გარდა რთული ციანიდებისა, როგორცაა ფეროციანიდები, ფერიციანიდები და ვერცხლისწყლის ოქსიციანიდი)
- ნატრიუმის ფტორიდი
- ნატრიუმის აზიდი
- კალციუმის ციანიდი
- კადმიუმის ციანიდი
- ალუმინის ფოსფიდი
- კალციუმის ფოსფიდი
- მაგნიუმის ფოსფიდი
- თუთიის ფოსფიდი

### **H 13 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: სენსიბილური**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 13 სახიფათობის მახასიათებელი „სენსიბილური“ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჰიპერმგრძობიარე რეაქცია გამოიწვიოს, კერძოდ, მათ ხანგრძლივი ზემოქმედებისას შეიძლება დამახასიათებელი უარყოფითი გავლენა მოახდინონ“.

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ვლინდება ისეთი ნარჩენების მიერ, რომლებიც შეიცავენ კანის ან რესპირატორული ორგანოების გაღიზიანების გამომწვევ ერთ ან ერთზე მეტ ნივთიერებას. ასეთ ნივთიერებებს შეუძლიათ გამოიწვიონ კანის ალერგიული რეაქციები ან, ჩასუნთქვის შემთხვევაში, ალერგია, ასთმა ან სუნთქვის გაძნელება.

### **H 14 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: ეკოტოქსიკური**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 14 სახიფათობის მახასიათებელი შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„ნარჩენები, რომლებიც უქმნის ან რომლებმაც შესაძლოა შეუქმნან დაუყოვნებელი ან განგრძობადი რისკი გარემოს ერთ ან რამდენიმე სექტორს.“

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ვლინდება ისეთი ნივთიერებების მიერ, რომლებიც:

- საზიანოა ან ტოქსიკური წყლის ორგანიზმებისათვის
- ტოქსიკურია ფლორის, ფაუნისა და ნიადაგის მიკროორგანიზმებისათვის
- შეუძლიათ გამოიწვიონ გრძელვადიანი ზემოქმედება წყლის გარემოზე

- საფრთხეს უქმნიან ოზონის შრეს.

**H 15 სახიფათობის მახასიათებლის შეფასება: ნარჩენები, რომლებსაც შეუძლიათ ზემოთ ჩამოთვლილ ისეთი სახიფათობის მახასიათებლების გამოვლენა, რომლებიც უშუალოდ ამ ნარჩენების მიერ არ ვლინდება.**

ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III-ის თანახმად, H 15 სახიფათობის მახასიათებელი შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„ნარჩენები, რომლებმაც განთავსების შემდეგ შესაძლოა გამოყოს სხვა ნივთიერება, მაგ., გამონაჟონი, რომელსაც აქვს ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მახასიათებელი“.

აღნიშნული სახიფათობის მახასიათებელი ვლინდება ისეთი ნარჩენის მიერ რომელიც შეიძლება აფეთქდეს ცეცხლთან კონტაქტით, ან მშრალ მდგომარეობაში, შეუძლია წარმოქმნას ფეთქებადი პეროქსიდები ან შექმნას აფეთქების რისკი დახურულ მდგომარეობაში გახურების შემთხვევაში.

### **4.3 სახიფათობის მახასიათებლების მინიჭება**

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართი III-ში ჩამოთვლილი სახიფათობის მაჩვენებლები არ არის დალაგებული პრიორიტეტულობის მიხედვით. ნარჩენებისთვის სახიფათობის მახასიათებლების მინიჭების დროს ისინი თანაბრად მნიშვნელოვანია. იმის გათვალისწინებით, რომ ნარჩენებში სახიფათობის მახასიათებლების გამოვლენის მთავარ მიზეზს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა წარმოადგენს, კარგი იქნება სახიფათობის მახასიათებლების პრიორიტეტიზაცია დაწყებული ისეთი მახასიათებლიდან, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს შეიცავს.

ხშირად სახიფათო ნარჩენს აქვს ერთზე მეტი სახიფათობის მახასიათებელი. სასურველია, რომ აღნიშნული სახიფათობის მაჩვენებლები მითითებული იყოს მათი მნიშვნელობის მიხედვით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ნარჩენები საკმარისად (ყველა შესაბამისი სახიფათობის მაჩვენებლის მითითებით) და ზუსტად (მხოლოდ შესაფერისი სახიფათობის მაჩვენებლის მითითებით) იყოს დახასიათებული. იმ შემთხვევაში, თუ სრულად არ იქნება მითითებული სახიფათობის მთავარი მახასიათებლები, იარსებებს რისკი იმისა, რომ ნარჩენების მომდევნო მფლობელმა მიიღოს სხეულის დაზიანება ან ადგილი ჰქონდეს უბედურ შემთხვევას. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება სახიფათობის ძალიან ბევრი მახასიათებელი, შესაძლებელია, რომ ნარჩენების მომდევნო მფლობელი ვერ მიხვდეს, რომელი ღონისძიებები გაატაროს რისკების შესამცირებლად.

სახიფათობის მაჩვენებლების პირველი ჯგუფში შედის ისეთი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ფიზიკურ ზემოქმედებას ტემპერატურის ან წნევის მატების შედეგად ავლენენ:

- H1 ფეთქებადი
- H3-A ადვილად აალებადი
- H3-B აალებადი
- H2 მჟანგავი

სახიფათობის მაჩვენებლების მეორე ჯგუფში შედის ისეთი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ზემოქმედებას ქსოვილზე ახდენენ:

- H8 კოროზიული
- H4 გამაღიზიანებელი
- H13 სენსიბილური

სახიფათობის მაჩვენებლების მესამე ჯგუფში შედის ისეთი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც მყისიერ ან დაგვიანებულ ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენენ:

- H6 ტოქსიკური
- H9 ინფექციური
- H12 ნარჩენები, რომლებიც წყალთან, ჰაერთან ან მჟავასთან ურთიერთქმედებისას ტოქსიკურ ან მეტად ტოქსიკურ აირებს გამოყოფს
- H7 კანცეროგენული
- H10 რეპროდუქციისთვის ტოქსიკური
- H11 მუტაგენური
- H5 მავნე

სახიფათობის მაჩვენებლების მეოთხე ჯგუფში შედის ისეთი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც არასპეციფიურ ზემოქმედებას ახდენენ:

- H14 ეკოტოქსიკური
- H15 ნარჩენები, რომლებმაც განთავსების შემდეგ შესაძლოა გამოყოს სხვა ნივთიერება, რომელსაც აქვს H1–H14 კოდებში ჩამოთვლილი რომელიმე მახასიათებელი.

## 5 ნარჩენების დამუშავების (ოპერაციის) კოდები

### 5.1 ტერმინთა განმარტებები

ნარჩენების დამუშავების კოდები (ან ოპერაციების კოდები) გვიჩვენებს, თუ რა ელის წარმოქმნილ თუ შეგროვებულ ნარჩენებს. „ნარჩენების მართვის კოდექსს“ აქვს ორი დანართი, რომელშიც განსაზღვრულია ალდგენისა და განთავსების კოდები.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ მუხლი 3-ში მოცემულია ნარჩენების დამუშავებთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება:

ნარჩენების დამუშავება - „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული ალდგენის და განთავსების ოპერაციები, აგრეთვე ნარჩენების წინასწარი დამუშავება ალდგენამდე ან განთავსებამდე.

ალდგენა - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენება იმ მასალების ჩანაცვლებით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული, და რომელიც განსაზღვრულია, მაგრამ არ შემოიფარგლება „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I დანართით. ალდგენა მოიცავს რეციკლირებას (მასალის ალდგენა) და ნარჩენის საწვავად გამოყენებას (ენერჯის ალდგენა).

რეციკლირება - ალდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის ალდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება.

„ნარჩენების მართვის კოდექსი“ არ იძლევა განთავსების ზუსტ განმარტებას. კოდექსის თანახმად, განთავსება არის „... ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც განსაზღვრულია, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ კოდექსის II დანართით“. თუმცა, თუ ალდგენის ოპერაციების მიზანია ნარჩენების საწარმოო ციკლში დაბრუნება, მაშინ განთავსება უნდა განიმარტოს, როგორც ღონისძიება, რომელიც ახორციელებს მასალების სასიცოცხლო ციკლიდან ნარჩენების მოშორებას და მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნარჩენების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და არა რაიმე მიზნით მათ გამოყენებას.

R კოდები ესადაგება ოპერაციებს, რომელთა შედეგად ხდება ნარჩენებისგან მასალების ან ენერჯის ალგენა.

D კოდები ესადაგება ოპერაციებს, რომელთა შედეგად ხდება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნარჩენების უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

## **5.2 ალდგენის ოპერაციების კოდების განმარტება**

### **R 1 ნარჩენის საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად**

კოდი მოიცავს ნარჩენების ინსინერაციას ელექტროსადგურებში და ისეთ სამრეწველო ობიექტებში, როგორცაა ცემენტის ქარხნების ღუმელები, იმისათვის, რომ მიღებული ენერჯია გამოყენებულ იქნეს სითბოს ან ელექტროენერჯის მისაღებად. მაგალითად, ცემენტის ღუმელებში საბურავების, ნარჩენი ზეთების ან გამოყენებული გამხსნელების ინსინერაცია; ნარჩენი წყლების შლამის ან მუნიციპალიური ნარჩენებისგან მიღებული საწვავის ინსინერაცია ელექტროსადგურებში ენერჯის მისაღებად.

### **R 2 გამხსნელის ალდგენა / რეგენერაცია**

კოდი მოიცავს დამუშავების ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გამოყენებული გამხსნელების რეგენერაცია ან ალდგენა, მაგ., გამხსნელის გაწმენდა დამაბინძურებლების მოშორებისა და მის თავდაპირველ ხარისხამდე ალდგენისა ან ნაკლებხარისხიან პროდუქტად გარდაქმნის მიზნით (მაგ., ლაკის გამხსნელი); მეორადი თხევადი საწვავის წარმოება, ჩვეულებრივ, სხვა თხევად ნარჩენებთან შერევით.

### **R 3 იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/ალდგენა, რომლებიც არ გამოიყენება, როგორც გამხსნელები (მათ შორის, კომპოსტირება და სხვა ბიოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესები)**

კოდი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია ბიოდეგრადირებადი ან არაბიოდეგრადირებადი ორგანული მასალის ალდგენა. ამ სახის ოპერაციებია:

- ნარჩენი ქაღალდისა და მუყაოს რეციკლირება;
- პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება და რეციკლირება;
- ბიოლოგიური ნარჩენებისა და მცენარეული ნარჩენების კომპოსტირება; ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ფერმენტაცია ბიოგაზის მისაღებად (ბიოგაზის დანადგარები).

### **R 4 ლითონების ან ლითონების ნაერთების რეციკლირება/ალდგენა**

კოდი მოიცავს დამუშავების ისეთ ოპერაციებს, რომელთა მიზანია ლითონების ნარჩენების და ისეთი ნაერთების რეციკლირება, სადაც ლითონი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. დამუშავების ოპერაცია შედგება სხვადასხვა მექანიკური, თერმული და ქიმიური დამუშავების ეტაპებისა და პროცესებისგან, როგორცაა:

- ჯართისა და სამრეწველო ნარჩენების რეციკლირება ფოლადის სადნობ ღუმელებში;
- რესურსამოწურული სატრანსპორტო საშუალებებისა და ნარჩენი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრომოწყობილობების დაქუცმაცება და გადამუშავება;
- კაბელების ან ნავთობით დაბინძურებული ლითონების თერმული დამუშავება;

- ვერცხლის ელექტროლიტური აღდგენა ფოტოგრაფიაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებიდან.

## **R 5 სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა**

კოდი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია იმ არაორგანული არალითონი ნარჩენების აღდგენა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სხვა უფრო სპეციფიურ ოპერაციებში (მაგ., R6, R8, R10). არაორგანული არალითონი ნარჩენების წილი ნარჩენების მთლიან მოცულობაში ძალიან დიდია. ამ სახის ნარჩენები მრავალი სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისგან შედგება. ესენია, ძირითადად, ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება თერმული პროცესების (ლექი, ნაცარი, ქვიშა, მტვერი, და სხვ.), მშენებლობისა და დემონტაჟის, და საბადოებისა და კარიერების დამუშავების შედეგად. დამუშავების პროცესები მოიცავს:

- მშენებლობისა და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავება;
- მინის ნარჩენების გადამუშავება და რეციკლირება;
- ცემენტის ღუმელებში ან ასფალტის შემრევ ქარხნებში მეორად ნედლეულად გამოყენება.

აღნიშნული ოპერაცია ასევე მოიცავს ნიადაგის გაწმენდას ნიადაგის აღდგენის მიზნით და არაორგანული სამშენებლო მასალების რეციკლირებას.

## **R 6 მჟავების ან ფუძეების რეგენერაცია**

კოდი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია გამოყენებული მჟავების/ფუძეების რეგენერაცია და ხელახალი გამოყენება თავდაპირველი ან სხვა დანიშნულებით. მაგალითად, გამოყენებული მჟავების კონცენტრაციის აღდგენა; გამოყენებული გოგირდმჟავას თერმული დაშლა გოგორმჟავის წარმოებაში ნედლეულად გამოყენების მიზნით.

## **R 7 კომპონენტების აღდგენა დაბინძურების შესამცირებლად**

კოდი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია დაბინძურების შესამცირებლად გამოყენებული ისეთი მასალების აღდგენა, როგორცაა აქტივირებული ნახშირი და იონგამცვლელი ფისი; მაგალითად, წყლისა და გამონაბოლქვის აირების გაწმენდისთვის გამოყენებული აქტივირებული ნახშირის აღდგენა, ძირითადად, თერმული დამუშავებით; იონგამცვლელი ფისის აღდგენა გამხსნელების საშუალებით.

## **R 8 კატალიზატორებიდან კომპონენტების აღდგენა**

კოდი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია კატალიზატორების აღდგენა მათი ხელახალი გამოყენების მიზნით; კატალიზატორების კომპონენტების, ძირითადად, ლითონის კომპონენტების, აღდგენა, მაგ., ავტომანქანების კატალიზურ გარდამქმნელებში არსებული ძვირფასი ლითონების აღდგენა.



## **R 9 ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება**

კოდი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია ნარჩენი ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოყენება. ოპერაციები, ძირითადად, ორი სახისაა: ნარჩენი ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან ნარჩენი ნავთობპროდუქტებიდან საწვავის მიღება. ხელახალი გამოხდის შედეგად ნარჩენი ნავთობპროდუქტები გარდაიქმნება ნედლეულად, რომელიც გამოიყენება საპოხი მასალების დასამზადებლად; ნარჩენი ნავთობპროდუქტებისგან ასევე მიიღება საწვავი, რომლითაც შესაძლებელია ქვანახშირის, დიზელის ან მსუბუქი საწვავის ჩანაცვლება.

## **R 10 მიწის დამუშავება, რასაც სარგებელი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის ან აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას**

კოდი მოიცავს ორგანული და მინერალური ნარჩენების სოფლის მეურნეობაში სასუქად ან ნიადაგის დანამატებად გამოყენებას; ნარჩენების სხვაგვარად განთავსებას არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე, რაც აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას, მაგ., ხელს უწყობს ლანშაფტების და ძველი მიტოვებული კარიერების აღდგენას. R10-ის მაგალითებია:

- ნარჩენი წყლების ლექის გამოყენება სოფლის მეურნეობაში;
- სეპარირებულად შეგროვებული ბიოლოგიური ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული კომპოსტის გაფანტვა მიწაზე;
- ნაკელის გამოყენება შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო წესების მიხედვით;
- მინერალური ნარჩენების სასუქად გამოყენება.

არსებობს მსგავსი კოდი D 2, რომელიც მიწაზე ნარჩენების გაფანტვას ეხება.

## **R 11 R1-დან R10-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციის შედეგად მიღებული ნარჩენების გამოყენება**

კოდი მოიცავს აღდგენის ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენების აღდგენას. აღნიშნული კოდი ეხება მხოლოდ გადამუშავების იმ ოპერაციებს, რომლებსაც არ ესადაგება სხვა რომელიმე ერთი ან რამდენიმე R კოდი. ამ კოდის გამოყენება შეზღუდულია, რადგან ნარჩენების დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების უდიდესი ნაწილის აღდგენა დანისაზღვრება კოდებით R1-დან R10-ის ჩათვლით.

## **R 12 ნარჩენების გაცვლა R1-დან R11-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად**

კოდი მოიცავს აღდგენის ოპერაციამდე განსახორციელებელ წინასწარი დამუშავების ღონისძიებებს, როგორცაა სორტირება; აღდგენის ობიექტზე გაგზავნამდე სხვადასხვა წყაროდან წარმოქმნილი ერთგვაროვანი ნარჩენების შერევა; ნარჩენების გატანა და დაპრესვა; ხის ნარჩენების დაქუცმაცება ენერჯის აღდგენამდე.

იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციას სხვა R კოდი არ ესადაგება, აღნიშნული კოდი მოიცავს აღდგენამდე R1-დან R11-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი

ოპერაციების განსახორციელებლად ჩასატარებელ შემდეგ წინასწარ ოპერაციებს: დემონტაჟი, სორტირება, დამსხვრევა, დაპრესვა, ბრიკეტირება, გაშრობა, დაქუცმაცება, გადაფუთვა, სეპარირება, შერევა, და სხვ.

**R 13 R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობება (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)**

ეს კოდი ენიჭება მაშინ, როცა ნარჩენი დასაწყობებულია გამოყოფილ ადგილზე (კომპანიის ტერიტორიაზე) და როცა ცნობილია, რომ ნარჩენი უნდა გაიგზავნოს რეციკლირების ან აღდგენის სხვა ოპერაციისთვის არაუგვიანეს 3 წლის განმავლობაში. ანუ, აღდგენის/რეციკლირების ოპერაციამდე ნარჩენების დროებითი დასაწყობების ვადა 3 წელს არ აღემატება.

იხილეთ შენიშვნა ნარჩენების დასაწყობებასთან დაკავშირებით თავში 5.4.

არსებობს მსგავსი კოდი D15, რომელიც ნარჩენების დასაწყობებას ეხება.

### **5.3 განთავსების ოპერაციების კოდების განმარტება**

**D 1 მიწაში ან მიწაზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და სხვ.)**

კოდი მოიცავს ნარჩენების სამუდამოდ განთავსებას კონტროლირებულ ნაგავსაყრელებზე, არაკონტროლირებულ ნაგავსაყრელებზე ან ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილ სხვა ტერიტორიებზე. ასევე მოიცავს სამთო-მოპოვებითი დარგის გამონამუშევარი ქანების, ფუჭი ქანებისა და კუდების განთავსებას.

**D 2 ნიადაგის დამუშავება (მაგ., ნიადაგში ჩაშვებული თხევადი ან ლექისებრი ნარჩენების ბიოდეგრადირება და სხვ.)**

კოდი მოიცავს ნარჩენების გაფანტვას მიწის ზედაპირზე, ხშირ შემთხვევაში თან ახლავს ნარჩენების ნიადაგში შერევა, რომლისაც არ მოაქვს რაიმე სარგებელი სოფლის მეურნეობისა და, ზოგადად, გარემოსათვის. კოდი ძირითადად ეხება არასახიფათო ლექს და თხევად ნარჩენებს, მაგ., ამოღებული ნატანის განთავსებას.

არსებობს მსგავსი კოდი R 10, რომელიც ნარჩენების ნიადაგში შეტანას ეხება.

**D 3 ღრმა ჩაშვება (მაგ., ნარჩენების ჭაბურღილებში, მარილოვან თაღებში ან ბუნებრივ რეზერვუარებში ჩაშვება და სხვ.)**

კოდი მოიცავს ნარჩენების ღრმად განთავსებას ბუნებრივ და ხელოვნურ ღრმულებში (მაგ., მარილოვან თაღებში, ჭაბურღილებში, მადაროებში) ან ფოროვან ქანებში.

**D 4 ზედაპირული ჩაშვება (მაგ., თხევადი ან ლექისებრი ნარჩენების ქვაბულებში, გუბურებში ან აუზებში ჩაშვება და სხვ.)**

კოდი მოიცავს ნარჩენების განთავსებას ბუნებრივ ან ხელოვნურ გუბურებში, ქვაბულებში ან ღრმულებში. აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენება სამთო-მოპოვებით დარგში (მაგ., ლითონების მოპოვების) კუდების მართვის მიზნით.

**D 5 სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ცალკე უჯრედებში განთავსება, რომლებიც დახურულია და იზოლირებულია ერთმანეთისგან და გარემოსგან, და სხვ.)**

კოდი მოიცავს ნარჩენების მიწის ზედაპირზე განთავსებას სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელებზე. სპეციალურად მოწყობილი ნაგავსაყრელების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სტანდარტები, ჩვეულებრივ, კანონით დადგენილ სტანდარტებზე მაღალია.

**D 6 წყალსატევებში (გარდა ზღვებისა და ოკეანეებისა) ჩაშვება**

კოდი მოიცავს არასახიფათო ამოღებული ნალექებისა და სხვა სახის ლექის განთავსებას ზედაპირული წყლების ობიექტებში, მათ შორის ფსკერზე და გრუნტში ჩამარხვას. ასევე შეიძლება მოიცვას თხევადი ნარჩენების ჩაშვება საკანალიზაციო კოლექტორში იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია ნარჩენი წყლების შესახებ კანონმდებლობით.

**D 7 ზღვებსა და ოკეანეებში ჩაშვება, მათ შორის, ზღვის ფსკერზე ჩამარხვა**

კოდი მოიცავს ნარჩენების ჩაშვებას ზღვაში „შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ კონვენციის“ შესაბამისად.

**D 8 ბიოლოგიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევები D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული**

კოდი მოიცავს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც იყენებენ აერობულ ან ანაერობულ ბიოლოგიურ პროცესებს ნარჩენების მოსამზადებლად შემდგომი განთავსებისთვის, მაგ., ნარჩენების ბიოდეგრადირებადი კომპონენტების მოცულობის შემცირებით ან ორგანული დამაბინძურებლების დეგრადაციის გზით. ასეთი ოპერაციებია: მუნიციპალური ნარჩენების ბიოლოგიურ-მექანიკური დამუშავება, დაბინძურებული ნიადაგის, ლექის ან მინერალური ნარჩენების ბიოლოგიური დამუშავება მათი შემდგომი განთავსების მიზნით.

**D 9 ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევები D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული (მაგ., აორთქლება, გაშრობა, კალცინირება და სხვ.)**

კოდი მოიცავს, ძირითადად, თხევადი და პასტისებრი სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას სხვადასხვა ქიმიური, თერმული და ფიზიკური პროცესებით, რომლის

შედეგად მიღებული ნაერთები ან ნარევები ექვემდებარება განთავსებას. ფიზიკურ-ქიმიური დამუშავებას, ჩვეულებრივ, ექვემდებარება ემულსიები, ზეთებისა და წყლის ნარევები, ნეიტრალური წყალშემცველი ორგანული და არაორგანული ნივთიერებები (სამრეწველო ნარჩენი წყალი, გამონაჟონი, და სხვ.), ციანიდები, მჟავები და ტუტეები. დამუშავების ეტაპებია: დეტოქსიკაცია (დაჟანგვა/დაშლა), დალექვა, განეიტრალება, ემულსიის დაშლა, იმობილიზაცია, ელექტროლიზი და ოსმოსი.

#### **D 10 მიწაზე ინსინერაცია**

კოდი მოიცავს ნარჩენების ინსინერაციას იმ შემთხვევაში, როდესაც ინსინერაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ნარჩენების თერმული დამუშავება ნარჩენების მოცულობისა და სახიფათობის შესამცირებლად და განსათავსებლად ვარგისი ინერტული პროდუქტის მისაღებად. მიღებული ენერჯია არ გამოიყენება - შეადარეთ R 1-ს.

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია: მუნიციპალური მყარი ნარჩენების ინსინერატორები (თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ „ნარჩენების ჩარჩო ღირექტივის“ დანართი II-ში დადგენილ სტანდარტებს ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებით), სახიფათო ნარჩენების ინსინერატორები, სამედიცინო ნარჩენების ან ცხოველური ნარჩენების ინსინერატორები. D10 ასევე მოიცავს ნარჩენების ინსინერაციას ისეთ დანადგარებში, სადაც ნარჩენი გადის თერმულ დამუშავებას და არ გამოიყენება საწვავად.

#### **D 11 ზღვაში ინსინერაცია**

ეს ოპერაცია აკრძალულია ევროკავშირის კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით.

#### **D 12 მუდმივი დასაწყობება (მაგ., კონტეინერების მალაროში განთავსება და სხვ.)**

კოდი მოიცავს ნარჩენების მუდმივ მიწისქვეშა განთავსებას მალაროებში, ქვაბულებში ან სხვა მიწისქვეშა წარმონაქმნებში.

#### **D 13 შერევა D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების დაწყებამდე**

კოდი მოიცავს მოსამზადებელ ღონისძიებებს, რომელთა დანიშნულებაა ნარჩენების სათანადო მდგომარეობაში მოყვანა და შეფუთვა მათი საბოლოო განთავსების მიზნით ტრანსპორტირებისა და დამუშავებისათვის. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: ნარჩენების სორტირებას; დამსხვრევას და დაქუცმაცებას ტრანსპორტირებასა და განთავსებას დაქვემდებარებული ნარჩენების მოცულობის შესამცირებლად; ნარჩენების შერევას (მაგ., სხვადასხვა წყაროდან წარმოქმნილი ერთგვაროვანი ნარჩენების შერევა); ჰომოგენიზაციას, სათანადო მდგომარეობაში მოყვანასა და გამყარებას.

იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციას სხვა D კოდი არ ესადაგება, აღნიშნული კოდი მოიცავს განთავსებამდე D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად ჩასატარებელ შემდეგ წინასწარ ოპერაციებს: სორტირება, დამსხვრევა, დაპრესვა, ბრიკეტირება, გაშრობა, დაქუცმაცება, სეპარირება, და სხვ.

**D 14 გადაფუთვა D1-დან D13-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების დაწყებამდე**

კოდი მოიცავს მოსამზადებელ ღონისძიებებს, რომელთა დანიშნულებაა ნარჩენების სათანადო მდგომარეობაში მოყვანა და შეფუთვა მათი საბოლოო განთავსების მიზნით ტრანსპორტირებისა და დამუშავებისათვის. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: ნარჩენების გადატანას და დაპრესვას; აზბესტის, პესტიციდებისა და სხვა ნარჩენების შეფუთვის ან გადაფუთვის.

**D 15 D1-დან D14-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების მიმდინარეობის დროს შენახვა (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)**

ეს კოდი ენიჭება მაშინ, როცა ნარჩენი დასაწყობებულია გამოყოფილ ადგილზე (კომპანიის ტერიტორიაზე) და როცა ცნობილია, რომ ნარჩენი უნდა გაიგზავნოს განთავსებისთვის არაუგვიანეს 1 წლის განმავლობაში. ანუ, განთავსების ოპერაციამდე ნარჩენების დროებითი დასაწყობების ვადა 1 წელს არ აღემატება.

იხილეთ შენიშვნა ნარჩენების დასაწყობებასთან დაკავშირებით თავში 5.4.

არსებობს მსგავსი კოდი R 13, რომელიც ნარჩენების დროებით დასაწყობებას ეხება.

**5.4 ნარჩენების დამუშავების კოდების მინიჭება**

ნარჩენების წარმომქნელი პასუხისმგებელია ნარჩენისათვის დამუშავების შესაბამისი კოდის მინიჭებაზე. მან უნდა იცოდეს, თუ რა ბედი ეწევა მის ნარჩენს. აღნიშნული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ნარჩენების მართვის გეგმაში, ან ნარჩენების ტრანსპორტირების კონტრაქტებსა თუ განკარგულებებში. ნარჩენების დამუშავების კოდი ენიჭება ნარჩენების დანიშნულების მიხედვით. ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული უნდა იყოს ნარჩენების დამუშავების დაგეგმილი მეთოდის კოდი.

ნარჩენების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და ანგარიშგება

ნარჩენების ერთ სახეს ენიჭება ნარჩენების დამუშავების ერთი კოდი, თუ ეს ნარჩენი ის ექვემდებარება დამუშავების მხოლოდ ერთ მეთოდს. ნარჩენებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში ნარჩენის დამუშავების კოდი ნარჩენის კოდსა და დასახელებასთან ერთად მითითებული უნდა იყოს სათაურში. წლიურ ანგარიშებში ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა და დამუშავების კოდი ერთ ხაზში უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:

ნარჩენის კოდი	ნარჩენის სახელწოდება	რაოდენობა (ტ)	ნარჩენის დამუშავების კოდი
20 01 01	ქარალდი და მუყაო	200	R3
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენი	5 200	D1

ასეთი ინფორმაცია წლიურ ანგარიშში გვიჩვენებს, რომ ყველა სეპარირებული ქაალდი და მუყაო იგზავნება რეციკლირებისთვის, ხოლო ყველა მუნიციპალური ნარჩენი ნგვსაყრელზე განთავსებისთვის.

იმ შემთხვევაში თუ ერთი სახეობის ნარჩენი დამუშავების ორ ან მეტ მეთოდს ექვემდებარება (მაგ., ნარჩენის ერთი ნაწილი განკუთვნილია განსათავსებლად, ხოლო მეორე - აღსადგენად), შესაძლებელია ნარჩენების დამუშავების ერთზე მეტი კოდის მინიჭება. კომპანიაში არსებულ დოკუმენტაციაში ნარჩენის შესახებ გაკეთებულ ყოველ ჩანაწერში (ინფორმაცია დღის ან კვირის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ - ჟურნალის ერთი ხაზი) უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული ნარჩენის დამუშავების მეთოდის შესახებ შესაბამისი კოდის მითითებით, ხოლო წლიურ ანგარიშში ინფორმაცია ნარჩენების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ხაზში. პირველში მოცემული უნდა იყოს ნარჩენის კოდი, დასახელება, დამუშავების პირველ მეთოდს დაქვემდებარებული ნარჩენის რაოდენობა და დამუშავების პირველი მეთოდის კოდი, მეორე ხაზში - ნარჩენის კოდი, დასახელება, დამუშავების მეორე მეთოდს დაქვემდებარებული ნარჩენის რაოდენობა და დამუშავების მეორე მეთოდის კოდი. მაგალითად:

ნარჩენის კოდი	ნარჩენის სახელწოდება	რაოდენობა (ტ)	ნარჩენის დამუშავების კოდი
20 01 01	ქაალდი და მუყაო	200	R3
20 01 01	ქაალდი და მუყაო	50	D1
20 01 17*	ფოტოქიმიური ნივთიერებები	0,5	D6
20 01 17*	ფოტოქიმიური ნივთიერებები	1,5	R4

ასეთი წლიური ანგარიშის ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ სეპარირებულად შეგროვებული 250 ტ ქაალდი და მუყაოდან 200 ტ გაიგზავნა რეციკლირების ობიექტზე, ხოლო 50 ტ - ნაგავსაყრელზე. ასევე, 2 ტ ფოტოქიმიური ნივთიერებებიდან 0.5 ტონა ჩაედინება საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო 1.5 ტონა იგზავნება აღდგენის ოპერაციებისთვის (ვერცხლის აღდგენა).

ნარჩენების დამუშავების კოდების ჩამონათვალი შეიცავს რამდენიმე მსგავს ოპერაციას. აქედან გამომდინარე, ნარჩენების წარმომქმნელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ადგილი აქვს ნარჩენების აღდგენას თუ განთავსებას. ცხრილში წარმოდგენილია ასეთი შემთხვევები:

დამუშავება	გამოიყენეთ კოდი R, თუ	გამოიყენეთ კოდი D, თუ
ნარჩენის ინსინერაცია	მიღებული ენერჯია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სითბოს ან ელექტროენერჯის მისაღებად (R1)	მიღებული სითბო ან ელექტროენერჯია გამოიყენება (D10)
ნარჩენის მიწაზე გაფანტვა	ნარჩენი გამოიყენება სასუქად ან ლანდშაფტის აღსადგენად (R10)	არ ხდება ნიადაგის გამდიდრება ან ნარჩენის გაფანტვის მეთოდი

		გამოიყენება ნარჩენიდან სახიფათო ნივთიერებების მოსაშორებლად (D2)
ნარჩენი დროებით დასაწყობებულია	ნარჩენი განკუთვნილია აღსადგენად (R13)	ნარჩენი განკუთვნილია განსათავსებლად (D15)

### ნარჩენების დასაწყობება

„ნარჩენების მართვის კოდექსით“ ნარჩენების დროებითი დასაწყობების ვადები შეზღუდულია. იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი განკუთვნილია განსათავსებლად, დროებითი დასაწყობების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი განკუთვნილია აღსადგენად - სამ წელს. რეკომენდებულია, რომ იმ ნარჩენებისთვის, რომლებიც დროებით დასაწყობებულია 3 წელზე მეტი ვადით, განისაზღვროს ნარჩენების დამუშავების კოდი D1 და ნარჩენების წარმომქმნელმა დააკმაყოფილოს ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების მოთხოვნები.

ნარჩენების დამუშავების R13 და D15 კოდები არ ეხება წარმომქმნის ტერიტორიაზე დროებით დასაწყობებულ ნარჩენებს, რომელიც განკუთვნილია რეგულარული (დღიური) გატანისთვის. აღნიშნული კოდი ასევე არ ეხება მყარი მუნიციპალური კონტეინერების განთავსების ადგილებს ან სამრეწველო ნარჩენების დაგროვების უბნებს, რომლებიც აუცილებელია საწარმოო პროცესისათვის და საიდანაც რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა დასაწყობების ადგილზე რეციკლირების/აღდგენის ან საბოლოო განთავსების ადგილზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

ნარჩენის დამუშავების კოდის მინიჭება დროებით დასაწყობებული ნარჩენების შემთხვევაში, აღქმული უნდა იყოს როგორც ნარჩენების წარმომქმნელის/მფლობელის სავალდებულო დაპირება სამინისტროსადმი (სახელმწიფოსადმი), თუ რას გაუკეთებს მის მიერ წარმოქმნილ ნარჩენს კონკრეტულ ვადაში. თუ ნარჩენების წარმომქმნელი/მფლობელი ანიჭებს კოდს R13, იგი უცხადებს სახელმწიფო სტრუქტურებს, რომ ნარჩენი დაექვემდებარება რეციკლირებას არაუგვიანეს 3 წლის განმავლობაში, ხოლო თუ D15 კოდს მიანიჭებს, ეს ნიშნავს რომ მწარმოებელი/მფლობელი იყებს ამ ნარჩენის განათავსების ვალდებულებას არაუგვიანეს 1 წლის განმავლობაში.

ხშირად პრობლემურია დამუშავების ოპერაციის განსაზღვრა და კოდის მინიჭება წარსულში წარმოქმნილი ნარჩენისთვის. ნარჩენების კანონმდებლობის განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკა ძირითადად ეხება ახლად წარმოქმნილ ნარჩენს და უზრუნველყოფს ამ ნარჩენის კანონმდებლობით დადგენილი წესებით მართვას. ნარჩენი, რომელიც წარსულშია წარმოქმნილი (=სანამ ნარჩენების მართვის კოდექსი შევიდოდა ძალაში) უნდა რეგულირდებოდეს სპეციალური კანონმდებლობით, რომელიც განსაზღვრავს ასეთი ნარჩენების მართვის წესებს. ასეთი წესების მიზანია მაქსიმალურად შემცირდეს ნარჩენების ზემოქმედება გარემოზე, მოხდეს ნარჩენების კონტროლირებულ ნაგავსაყრელზე გადაადგილების რისკების შეფასება და გაკეთდეს ასეთი ღონისძიებების ხარჯ-სარგებლიანობა ანალიზს.

# დანართი 1

## ნარჩენების კოდების გამოყენების მაგალითები

დანართში მოყვანილია შემდეგი სახის ნარჩენების კოდირების მაგალითები:

1. ერთად შეგროვებული და შერეული ნარჩენები
2. წყალშემცველი სითხეები ან კონცენტრატები
3. ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები
4. საყოფაცხოვრებო წყაროებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ბატარეები
5. ნარჩენი ელექტროხელსაწყოები და ელექტრომოწყობილობები
6. ნარჩენი შესაფუთი მასალა და შიგთავსი

მაგალითი 1	ერთად შეგროვებული და შერეული ნარჩენები
გავრცელების სფერო	<p>ზოგადი ხასიათის</p> <p>მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ნებისმიერი სახის ერთად შეგროვებული და შერეული ნარჩენების კოდირება.</p> <p>გამონაკლისი: შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენები.</p>
<p>სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენების, ან სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ქმედება ხორციელდება ისეთ სათანადო ლიცენზირებულ ობიექტზე, რომელიც გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებს.</p> <p>შერეული ნარჩენების სეპარირება აუცილებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გამართლებულია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია შერეული ნარჩენების პარტიის სეპარირება, ნარჩენების წარმოქმნელებმა და ოპერატორებმა უნდა აღწერონ ნარჩენები შემდეგი მეთოდით.</p> <p>შერეული ნარჩენების კოდირებისა და კლასიფიკაციის პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს, რამდენი სახის ნარჩენია წარმოდგენილი შერეულ ნარჩენში. იმ შემთხვევაში, თუ შერეული ნარჩენი შეიცავს ერთზე მეტი სახეობის იდენტიფიცირებად ნარჩენს, აღწერილ უნდა იქნეს თითოეული სახეობა, შესაბამისად საჭირო იქნება ერთზე მეტი კოდის შერჩევა.</p> <p>თუ ერთ კონტეინერში მოთავსებულია 3 სახის ნარჩენი (A, B და C სახის), ითვლება, რომ კონტეინერი შეიცავს 3 ნარჩენს, რომელთაგანაც თითოეული ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს, დახასიათდეს და მიენიჭოს შესაბამისი კოდი.</p> <p>მაგალითად, მჟავა-ტყვია ბატარეა, რომელიც მოთავსებულია შენობის დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილ ხის ნარჩენებში, საჭიროებს ერთ კოდს, ხოლო ხის ნარჩენები -</p>	



მეორეს. ბატარეა იდენტიფიცირებადი ნარჩენია და გამოირჩევა ხის ნარჩენებიდან. ბატარეას უნდა მიენიჭოს 16 06 01\* კოდი, ხოლო ხის ნარჩენებს - 17 02 01, იმ შემთხვევაში, თუ ხის ნარჩენები არ არის დაბინძურებული ბატარეასთან კონტაქტის შედეგად.

მრავლობითი კოდის მინიჭების მიდგომა გამოიყენება სამედიცინო ნარჩენების კოდირებისა და კლასიფიკაციისათვისაც. მაგალითად,

- არაციტოტოქსიკური და ციტოსტატიკური მედიკამენტებით დაბინძურებული სამედიცინო მჭრელი საგნები (18 01 03\* და 18 01 09)
- ქიმიური საშუალებებით შენახული ანატომიური ნარჩენები სამედიცინო სფეროდან (18 01 06\* და 18 01 03\*)

შენიშვნა: ცალკეულ თავებში შერეული ნარჩენებისთვის სპეციალური კოდების არსებობა არ აძლევს ნარჩენების წარმოქმნელებს სხვადასხვა სახეობის სახიფათო ნარჩენების ერთმანეთთან შერევის, ან სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევის უფლებას.

სახიფათო ნარჩენებისთვის არ არის განსაზღვრული მინიმალური დონეები, თუ ისინი შერეულია არასახიფათო ნარჩენებთან. მაგალითად, თუ არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების (17 09 04) პარტია შერეულია პოლიქლორირებული ბიფენილების (PCB) შემცველ ნარჩენებთან, მაგალითად, პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველ ფისის იატაკის მასალასთან, უნდა მიენიჭოს კოდი 17 09 02\* - სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ პოლიქლორირებულ ბიფენილებს (PCB).

მაგალითი 2	წყალშემცველი სითხეები ან კონცენტრატები
გავრცელების სფერო	მაგალითში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ თავი 16 იმ წყალშემცველი სითხეებისა და კონცენტრატებისთვის კოდების მისანიჭებლად, რომლებსთვისაც შესაფერისი კოდები არ იძებნება თავებში 1 - 12, 17 - 20, და 13 - 15.
<p>არსებობს გარკვეული სახეობის თხევადი ნარჩენები, როგორცაა კომპოსტის გამონაჟონი და ბიოტულეტის ნარჩენები, რომელთა შესაფერისი კოდებიც არ იძებნება ნარჩენების წყაროების თავებში (1-12, 17-20).</p> <p>ნარჩენების ნუსხის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად, უნდა გადავიდეთ ნარჩენების სახეობების თავებზე (13,14, და 15).</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ შესაფერისი კოდი ისევ არ იძებნება, კოდი უნდა შეირჩეს თავი 16-დან (ნარჩენი, რომელიც სხვაგან გათვალისწინებული არ არის).</p> <p>მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაფერისი კოდი არ იძებნება თავი 16-ში, შესაძლებელია ნარჩენების წყაროს თავებში მოცემული “99” კოდის გამოყენება.</p> <p>თუმცა, თავი 16-ის ქვეთავი 16 10-ში (წყალშემცველი თხევადი ნარჩენები, რომლებიც უნდა გადამუშავდეს ცალ-ცალკე) შეიცავს ზოგად კოდებს ყველა წყალშემცველი</p>	

ნარჩენისა და წყალშემცველი კონცენტრატისათვის:

16 10 01\* წყალშემცველი თხევადი ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს

16 10 02 წყალშემცველი თხევადი ნარჩენები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული 16 10 01-ში

16 10 03\* წყალშემცველი კონცენტრატები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს

16 10 04 წყალშემცველი კონცენტრატები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული 16 10 03-ში

წყალშემცველი ნარჩენისთვის შესაფერისი კოდის შესარჩევად საჭიროა:

- წყალშემცველი ნარჩენის კლასიფიცირება სითხედ ან კონცენტრატად
- მასში სახიფათო ნივთიერების არსებობის დადგენა

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენში აღმოჩნდა სახიფათო ნივთიერებები, ნარჩენი ითვლება სახიფათოდ 16 10 01\* ან 16 10 03\* შესაბამისად. წარმოადგენს თუ არა ნივთიერება კონცენტრატს, უნდა დადგინდეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

კომპოსტის გამონაჟონი: კომპოსტირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ძირითადად ასახულია ქვეჯგუფ 19 05-ში (მყარი ნარჩენების აერობული დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები). თუმცა, არ არსებობს ისეთი კოდი, რომელიც ზუსტად აღწერს ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილ თხევად ნარჩენებს. ამ ქვეთავში მოცემული „99“ კოდის მინიჭებამდე, აუცილებელია ნარჩენებთან დაკავშირებული თავების (13, 14 და 15) განხილვა. იმ შემთხვევაში, თუ ამ თავებში არ იძებნება კოდი, მაშინ მისთვის უნდა შეირჩეს შესაფერისი კოდი თავი 16-დან.

მომრავი (გადასაადგილებელი) ტუალეტების ნარჩენები: აღნიშნული ნარჩენები მიეკუთვნება საყოფაცხოვრებო/მუნიციპალურ ნარჩენებს, თუმცა მე-20 ჯგუფში შესაბამისი კოდი არ იძებნება. იგივე სურათია მე-13 და მე-15 ჯგუფებში. ამ შემთხვევაშიც, ყველაზე შესაფერისი კოდები არის მე-16 ჯგუფში.

წყალშემცველი სარეცხი სითხეები და დედა ხსნარები ორგანული ქიმიური პროცესებიდან: მე-7 ჯგუფში მოცემულია 'სახიფათო' კოდები, რომლებიც შეიძლება შერჩეულ იქნეს ამ სახის ნარჩენებისთვის მაშინაც კი, როდესაც ისინი არ ავლენენ სახიფათობის მახასიათებლებს.

მაგალითი 3	ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები
გავრცელების სფერო	მაგალითში ნაჩვენებია ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციის მეთოდი

კოდები ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრულია ქვეჯგუფში 16 01:

16 01 04\* განადგურებას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებები

16 01 06 განადგურებას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიდანაც გამოცლილია სითხეები და სხვა სახიფათო კომპონენტები

აღნიშნული კოდები მიესადაგება ხმარებიდან ამოღებულ მსუბუქ ავტომანქანებს, ავტობუსებს, სატვირთო ავტომანქანებს, ვერტმფრენებს, თითმფრინავებს, ნავებს, გემებს, ტრაქტორებს, მოტოციკლებს და სხვა რესურსამოწურულ სატრანსპორტო საშუალებებს. ამ კოდების გამოყენება შესაძლებელია ხმარებიდან ამოღებული (რესურსამოწურული) ტრაილერების, ფურგონებისა და მგავსი საშუალებების შემთხვევაშიც.

16 01 04\* და 16 01 06 ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია, თუმცა ისინი სარკისებურ ელემენტებს არ წარმოადგენენ. თუ რესურსამოწურული სატრანსპორტო საშუალება დაცლილია დამაბინძურებლებისაგან - სახიფათო კომპონენტებისაგან, მას 16 01 06 კოდი მიესადაგება.

თუ რესურსამოწურული სატრანსპორტო საშუალება შეიცავს სახიფათო სითხეს (ბენზინს, დიზელის საწვავს, სამუხრუჭე სითხეს, ზეთს, და სხვ.), ან სხვა სახიფათო კომპონენტებს (მაგ., ბატარეებს, ან ვერცხლისწყლის რელეებს), მას 16 01 04\* კოდი მიესადაგება.

მაგალითი 4	საყოფაცხოვრებო ბატარეები
გავრცელების სფერო	<p>მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ისეთი ნარჩენი საყოფაცხოვრებო ბატარეების კლასიფიკაცია, რომლებსაც მოიხმარენ ყოფაცხოვრებაში და ბიზნეს ორგანიზაციებში.</p> <p>მაგალითი არ ეხება ავტომანქანების მჟავა-ტყვია აკუმულატორებს და სხვა დიდი მოცულობის/სპეციალურ ბატარეებს, რომლებსაც ბიზნეს საქმიანობაში იყენებენ. ასეთი ბატარეები კლასიფიცირებულია მე-16 ჯგუფში.</p>
<p>საყოფაცხოვრებო ტიპის ისეთი ბატარეების კლასიფიკაციისათვის, რომლებსაც მოიხმარენ ყოფაცხოვრებაში და ბიზნეს ორგანიზაციებში, არსებობს ორი კოდი:</p> <p>20 01 33* ბატარეები და აკუმულატორები , რომლებიც განსაზღვრულია 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებით, ან შერეული (დაუხარისხებელი) ბატარეები და აკუმულატორები, რომლებიც ასეთ ბატარეებს შეიცავენ</p> <p>20 01 34 ბატარეები და აკუმულატორები, გარდა 20 01 33 პუნქტით გათვალისწინებულისა</p> <p>20 01 34 გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რომ არც ერთი ბატარეა არ არის სახიფათო (ე.ი., როცა ბატარეები დახარისხებული და</p>	

იდენტიფიცირებულია კომპეტენტური პირის მიერ).

20 01 33\* გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის:

- სხვა ნარჩენებთან ერთად შეგროვებული დაუხარისხებელი (შერეული) ან შეუსწავლელი ბატარეები, სადაც ერთი ან ერთზე მეტი სახიფათო ბატარეის არსებობა ვერ გამოირიცხება, და
- სხვა სახის ბატარეებიდან გამოცალკევებული სახიფათო ბატარეები.

მაგალითი 5	ნარჩენი ელექტროხელსაწყოები და ელექტრომოწყობილობები
გავრცელების სფერო	მაგალითში ნაჩვენებია ნარჩენი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრომოწყობილობების და მათთან დაკავშირებული კომპონენტების კლასიფიკაციის მეთოდი.
<p>ნარჩენ ელექტროხელსაწყოებსა და ელექტრომოწყობილობებთან დაკავშირებული კოდები მოცემულია ნარჩენების ნუსხის ორ მე-16 და მე 20ჯგუფებში. საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები და ელექტრომოწყობილობები, ასევე მგავსი ტიპის ნარჩენი ელექტროხელსაწყოები და ელექტრომოწყობილობები, რომლებიც წარმოიქმნება სამრეწველო და კომერციული წყაროებიდან, კლასიფიცირებულია მე-20 ჯგუფში. ამიტომ, პირველ რიგში განხილულ უნდა იქნეს თავი/ჯგუფი 20, ხოლო შემდეგ - თავი/ჯგუფი 16.</p>	
<p>20 01 21* ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენები</p>	
<p>20 01 23* წუნდებული ხელსაწყოები, რომლებიც შეიცავენ ქლორფთორნახშირბადს</p>	
<p>20 01 35* წუნდებული ელექტროხელსაწყოები და ელექტრომოწყობილობები, გარდა 20 01 21 და 20 01 23პუნქტებით გათვალისწინებულისა, რომლებიც შეიცავენ სახიფათო კომპონენტებს</p>	
<p>20 01 36 წუნდებული ელექტროხელსაწყოები და ელექტრომოწყობილობები, გარდა 20 01 21, 20 01 23 და 20 01 35-ით გათვალისწინებულისა</p>	
<p>კომერციული/სამრეწველო ტიპის ან დიდი ზომის ხელსაწყოები, რომლებსაც ყოფაცხოვრებაში, ჩვეულებრივ, არ მოიხმარენ, კლასიფიცირებულ უნდა იქნეს მე-16 ჯგუფის ფარგლებში.</p>	
<p>16 02 09* ტრანსფორმატორები და კონდენსატორები, რომლებიც შეიცავენ პოლიქლორირებულ ბიფენილებს (PCB)</p>	
<p>16 02 10* მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომლებიც შეიცავენ ან დაბინძურებული არიან პოლიქლორირებული ბიფენილებით (PCB), რომლებიც არ ვხვდებით 16 02 09 პუნქტში</p>	
<p>16 02 11* მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომლებიც შეიცავენ ქლორფთორნახშირბადებს</p>	

16 02 12\* მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს თავისუფალ აზბესტს

16 02 13\* მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომლებიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომლებსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-დე პუნქტებში

16 02 14 მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომლებსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 13-დე პუნქტებში

კომპიუტერის მონიტორები, ტელევიზორები და კომერციული დაწესებულების ისეთი მაცივრები, რომლებიც ზომით არ აღემატებიან საყოფაცხოვრებო მაცივრებს, კლასიფიცირებულ უნდა იქნეს ქვეჯგუფი 20 01-ის ფარგლებში.

სუპერმარკეტების დიდი ზომის მაცივრები და საყინულეები, რომლებიც შეიცავენ ქლორფთორნახშირბადებს, კლასიფიცირებულ უნდა იქნენ 16 02 11\* კოდით.

ნებისმიერი წყაროდან წარმოქმნილი ნარჩენი ფლურესცენციული მილების უდიდესი ნაწილი მსგავსია საყოფაცხოვრებო ტიპის ფლურესცენციული მილებისა და შეესაბამებიან 20 01 21\*-ს.

20 01 35\* და 16 02 13\* ელემენტები სახიფათოა მათში სახიფათო კომპონენტის არსებობის გამო. კოდის შერჩევას განაპირობებს ხელსაწყოში სახიფათო კომპონენტის არსებობა ან არარსებობა. თუ მოწყობილობაში არ არის სახიფათო კომპონენტი, მას მიესადაგება 20 01 36 ან 16 02 14.

სახიფათო კომპონენტი არის ისეთი კომპონენტი, რომელიც

- ნარჩენების ნუსხაში აღნიშნულია, როგორც სახიფათო, ან
- ნებისმიერი სხვა კომპონენტი, რომელიც დამოუკიდებლად შეფასების დროს ავლენს სახიფათობის მახასიათებელს

ნარჩენების ნუსხის თანახმად, სახიფათო კომპონენტებს წარმოადგენენ სახიფათო აკუმულატორები/ბატარეები (კოდებით 16 06 01\* - 16 06 03\*), ვერცხლიწყლის რელები, ელექტრულ-სხივური მილების მინა და სხვა აქტივირებული მინა, ვერცხლისწყლის შემცველი სანათი მოწყობილობები და სხვა მსგავსი საგნები.

აბსულუტურად სახიფათო კომპონენტებია 20 01 23\*, 16 02 09\* - 16 02 12\* კოდები , რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სახიფათო ნივთიერებასთან. თითოეული კომპონენტი უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად, რათა დადგინდეს არის თუ არა ის სახიფათო მასში კონკრეტული სახიფათო ნივთიერების არსებობის გამო. აღნიშნული ელემენტები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელსაწყო შეიცავს სახიფათო კომპონენტს მასში კონკრეტული სახიფათო ნივთიერების არსებობის მიზეზით (მაგალითად, აზბესტის შემცველი ისეთი კომპონენტები, როგორცაა კაბელები, შუასადებები და საიზოლაციო მასალა). თუ ეს ასე არ არის, მაშინ განხილულ უნდა იქნეს ამავე ქვეჯგუფის სხვა ელემენტები (როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო).

ე.წ. ჩასაბარებელ პუნქტებში შეგროვილ სხვა ნარჩენებთან ერთად შეგროვებულ იმ მცირე ზომის ელექტრომოწყობილობებსა და ელექტროხელსაწყოებს, რომლებიც იქნება იდენტიფიცირებული და გამოცალკევებული, უნდა მიენიჭოს ორმაგი კოდი: 20 01 35\*

მაგალითი 6	ნარჩენი შესაფუთი მასალა და შიგთავსი
გავრცელების სფერო	<p>მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ნარჩენი შესაფუთი მასალის კლასიფიკაცია იმისათვის, რომ დავადგინოთ:</p> <p>(i) რას წარმოადგენს ნარჩენი - ნარჩენ შესაფუთ მასალას, თუ ნარჩენ შიგთავსს</p> <p>(ii) არის თუ არა ცარიელი შესაფუთი მასალა სახიფათო</p>
<p>ნარჩენების ნუსხის მე-15 თავი (ჯგუფი) შეიცავს ნარჩენი შესაფუთი მასალის შემდეგ კოდებს:</p> <p>15 01 01 ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 02 პლასტმასის შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 03 ხის შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 04 ლითონის შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 05 კომპოსტის შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 06 ნარევი შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 07 მინის შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 09 ტექსტილის შესაფუთი მასალა</p> <p>15 01 10* შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებს ან დაბინძურებულია სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით</p> <p>15 01 11* ლითონის შესაფუთი მასალა, რომელიც შეიცავს სახიფათო მყარ ფოროვან მატრიცას (მაგალითად, აზბესტს), წნევაგამძლე ცარიელი კონტეინერების ჩათვლით აღნიშნული კოდების მისანიჭებლად მიღებულ უნდა იქნეს ორი გადაწყვეტილება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირველი, როგორ უნდა მოხდეს ნარჩენის კლასიფიკაცია: როგორც შესაფუთი მასალის, თუ მისი შიგთავსის, და</li> <li>• მეორე, თუ ის წარმოადგენს ნარჩენ შესაფუთ მასალას, რომელი კოდია ყველაზე შესაფერისი</li> </ul> <p><i>რას წარმოადგენს ნარჩენი - ნარჩენ შესაფუთ მასალას თუ ნარჩენ შიგთავსს?</i></p> <p>იმისათვის, რომ ნარჩენების კონტეინერი კლასიფიცირებულ იქნეს ნარჩენ შესაფუთ მასალად (15 01), ის უნდა იყოს 'ცარიელი'.</p>	

ჩვეულებრივ, ადვილი დასადგენია, ცარიელია თუ არა კონტეინერი. მაგალითად, შესქელებული საღებავის ნახევრად სავსე ქილა ცარიელი არ არის. იმ შემთხვევაშიც, როდესაც კონტეინერში არის მცირე რაოდენობის ნარჩენი მასალა, რომლის მოშორება ჩვეულებრივი სამრეწველო სტანდარტებით ან პროცესებით გათვალისწინებული ფიზიკური ან მექანიკური საშუალებებით შეუძლებელია, კონტეინერი არ ითვლება ცარიელად.

ეს ნიშნავს იმას, რომ კონტეინერიდან ნარჩენი მასალის მოსაშორებლად მიღებულ უნდა იქნეს ყველა გონივრული ზომა. ეს შეიძლება იყოს კონტეინერის გამორეცხვა, გაშრობა ან გახეხვა. კონტეინერის დაცლის მეთოდი დამოკიდებულია კონტეინერზე და მასში არსებული მასალის სახეობაზე.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როდესაც შესაფუთი მასალის დიზაინი, ღიობი ან მასალის ხასიათი არ იძლევა მისი დაცლის შესაძლებლობას, ის ვერ ჩაითვლება ნარჩენ შესაფუთ მასალად.

თუ კონტეინერი ცარიელი არ არის, ის არ წარმოადგენს ნარჩენ შესაფუთ მასალას. მისი კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შიგთავსისა და მისი წარმოშობის წყაროს ან საქმიანობის საფუძველზე. მაგალითად, 08 01 11\* ნარჩენი საღებავი და ლაკი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებს.

როდესაც კონტეინერები ირეცხება მათში დარჩენილი შიგთავსის მოსაშორებლად და დასაცლელად, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წყლების საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვება;
- ნარჩენის დამუშავების სათანადო უფლებამოსილება (როდესაც მწარმოებელი კონტეინერიდან ნარჩენი პროდუქტის მოსაშორებლად მიმართავს რეცხვის მეთოდს, რათა აღნიშნული ნარჩენი პროდუქტი გამოიყენოს, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში)
- შესაძლო რეაქციები შიგთავსთან; მაგალითად, არ არის რეკომენდებული ისეთი კონტეინერების წყლით რეცხვა, რომლებში მოთავსებული ნივთიერებაც წყალთან რეაქციაში შედის.

### **ნარჩენი შესაფუთი მასალის კლასიფიცირება და შეფასება**

თუ კონტეინერი ცარიელია, უნდა შევარჩიოთ ნარჩენი შესაფუთი მასალის შესაბამისი კოდი. ამის შემდეგ უნდა დავადგინოთ:

- შეიცავს თუ არა რამე სახის ნარჩენებს (residue) ან არის თუ არა დაბინძურებული, და
- შეიცავს თუ არა ეს ნარჩენი (residue) ან დამაბინძურებელი სახიფათო ნივთიერებებს.

ყველა ნარჩენი (residue) ან დამაბინძურებელი უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე, შესაფუთი მასალის წონის გათვალისწინებლად, რათა დადგინდეს ავლენს თუ არა ის სახიფათო მახასიათებლებს. თუ ცარიელი შესაფუთი მასალა შეიცავს ნარჩენს (residue) ან დამაბინძურებელს, რომელიც თავის მხრივ შეიცავს სახიფათო ნივთიერებას, რომელიც

ავლენს სახიფათო მახასიათებლებს, მაშინ ასეთი ნარჩენი შესაფუთი მასალა კლასიფიცირდება როგორც 15 01 10\* - სახიფათო კოდით. ამის მაგალითებია

- დიზელის საწვავის ცარიელი კასრი, რომელშიც დიზელის საწვავის შემორჩენილი რაოდენობაა (დიზელის საწვავი სახიფათოა და ავლენს სახიფათო მახასიათებლების მთელ რიგს), ან
- საღებავის ცარიელი ქილა, რომელზეც დატანილია საფრთხის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი, შეიცავს ეკოტოქსიკური მძიმე ლითონების შემცველი საღებავის შესქელებულ ნარჩენებს და დაბინძურებულია ამ სახიფათო ნივთიერებებით (უნდა აღინიშნოს, რომ საღებავის გამოშრობა წყლის/გამხსნელის აორთქლების გამო იწვევს მასში შემავალი სახიფათო ნივთიერებების კონცენტრაციის ზრდას).

თუ შესაფუთი მასალა:

(i) არ შეიცავს ნარჩენებს (residue) ან არ არის დაბინძურებული (მაგ., ნარჩენები (residue) და დაბინძურება მოშორებულია გაწმენდის შედეგად), ან

(ii) დამაბინძურებელი ან ნარჩენები (residue) არ წარმოადგენს სახიფათო ნივთიერებას (ნივთიერებებს),

მაშინ უნდა გაარკვიოთ, ხომ არ არის შესაფუთი მასალა დამზადებული სახიფათო მასალისაგან.

ზოგიერთ შესაფუთი მასალის ცალკეული ნაწილი შეიძლება დამზადებული იყოს მყარი სახიფათო მასალისგან; მაგალითად, ძველი ცეცხგამძლე შესაფუთი მასალა შეიძლება შეიცავდეს აზბესტს. ამ შემთხვევაში ნარჩენი შესაფუთი მასალა შეესაბამება 15 01 11\*-ს.

ცარიელ შესაფუთ მასალას მიესადაგება არასახიფათო ნარჩენი შესაფუთი მასალის კოდი , თუ:

- არ შეიცავს ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებს და არ არის დაბინძურებული, ან
- დამაბინძურებელი ან ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები არ ავლენენ სახიფათო მახასიათებლებს

და

- კონტეინერი არ არის დამზადებული სახიფათო მყარი მასალისაგან



## დანართი 2

ნარჩენების კლასიფიკაციისათვის საჭირო დიაგრამები, კითხვარები და ცხრილები

დიაგრამა 1: ნარჩენების კლასიფიკაციის ზოგადი მიდგომა

დიაგრამა 2: გადაწყვეტილების მიღება სარკისებური კოდების გამოყენების თაობაზე

დიაგრამა 3: ნარჩენების ნუსხის გამოყენება

კითხვარი 1: ნარჩენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება

კითხვარი 2: არის თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენი

კითხვარი 3: როდის აღარ ითვლება ნარჩენი ნარჩენად

ცხრილი 1: „ნარჩენების ნუსხაში“ წარმოდგენილი ნარჩენების ჯგუფები

ცხრილი 2: ნარჩენები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მუხლი 2(2)-ის თანახმად


ცხრილი 3: აღდგენის ოპერაციები (დანართი I. „ნარჩენების მართვის კოდექსი“)

ცხრილი 4: განთავსების ოპერაციები (დანართი II. „ნარჩენების მართვის კოდექსი“)


ცხრილი 5: სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები

ცხრილი 6: პრაქტიკული სავარჯიშოს დროს გამოვლენილი ნარჩენების კოდების ჩამონათვალი


დიაგრამა 1. ნარჩენების კლასიფიკაციის ზოგადი მიდგომა



დიაგრამა 2. გადაწყვეტილების მიღება სარკისებური კოდების გამოყენების თაობაზე



**დიაგრამა 3. ნარჩენების ნუსხის გამოყენება**



კითხვარი 1: ნარჩენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება

შკითხვა		დიახ	არა
ზოგადი			
არის თუ არა ნარჩენი? (იხ. სახელმძღვანელოს თავი 2.4)			
საჭიროა თუ არა ნარჩენის კლასიფიკაცია? (იხ. ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 2(2) )			
ნარჩენების წარმოქმნა			
შესაძლებელია თუ არა ნარჩენის წარმომქნელი დარგის სახეობის იდენტიფიცირება? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ.			
შესაძლებელია თუ არა ნარჩენის წარმომქნელი საქმიანობის სახეობის იდენტიფიცირება? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ.			
შესაძლებელია თუ არა იმ მასალის იდენტიფიცირება, რომლისგანაც წარმოქმნა ნარჩენი? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ.			
მასალა, საიდანაც წარმოიქმნა ნარჩენი (იხ. ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი 3 საფრთხეებისა და რისკების დასადგენად)			
დატანილია თუ არა საფრთხის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები შეფუთვაზე ან დანდართულ საბუთებში? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ			

საფრთხის სახეები.		
დატანილია თუ არა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამაფრთხილებელი წარწერა შეფუთვაზე ან დანდართულ საბუთებში?  დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების სახეები.		
ცნობილია თუ არა ამ მასალის გამოყენების შედეგად პერსონალის/ადამიანების სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანების მაგალითები? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანების სახეები.		
ცნობილია თუ არა ამ მასალის გამოყენების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის/უბედური შემთხვევების მაგალითები? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ ზიანის/უბედური შემთხვევების სახეები		
ნარჩენი  (იხ. ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი 3 საფრთხეებისა და რისკების დასადგენად)		
ცნობილია თუ არა ამ ნარჩენის შენახვის, ტრანსპორტირებისა ან განთავსების შედეგად პერსონალის/ადამიანების სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანების მაგალითები? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანების სახეები.		
ცნობილია თუ არა ამ ნარჩენის შენახვის, ტრანსპორტირებისა ან განთავსების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის/უბედური შემთხვევების მაგალითები? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ ზიანის/უბედური		

შემთხვევების სახეები.		
<p>ცნობილია თუ არა, რომ ნარჩენი შეიცავს ისეთ ქიმიურ ნაერთებს, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანის ჯანმრთელობას?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ.</p>		
<p>ცნობილია თუ არა, რომ ნარჩენი შეიცავს ისეთ ქიმიურ ნაერთებს, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ გარემოს?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ.</p>		
<p>შეფუთულია თუ არა ნარჩენი? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ მისი შეფუთვა. შეიძლება მისი გახსნა?</p>		
<p>განთავსებულია თუ არა ნარჩენი? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიანიჭეთ შესაბამისი კოდი D (იხ.ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი 2)</p>		
<p>რეციკლირებულია თუ არა ნარჩენი? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიანიჭეთ შესაბამისი კოდი R code (იხ.ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი 1)</p>		

## კითხვარი 2: არის თუ არა ნივთიერება ან საგანი ნარჩენი

(თუ პასუხია „დიახ“, შეწყვიტეთ შეფასება და თუ თქვენი ბოლო პასუხი მოხვდება ნაცრისფერ უჯრაში, ის ნარჩენია. თუ პასუხია „არა“ გადადით შემდეგ კითხვაზე)

კითხვის არსის გასაგებად, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა სახელმძღვანელო დოკუმენტის თავში 2.4.

შეკითხვა	დიახ	არა
ნივთიერება ან საგანი წარმოებულია მათი გამოყენების ან ბაზარზე განთავსების მიზნით, თუ ხდება მისი ხელახალი გამოყენება წინასწარ განსაზღვრული იგივე მიზნების შესაბამისად?		
წარმოადგენს თუ არა ნივთიერება ან საგანი საწარმოო პროცესის თანმდევ პროდუქტს?		
კანონით აუცილებელია ნივთიერებისა ან საგნის მოშორება საბოლოო განთავსებით?		
ნივთიერება ან საგანი გადაცემულია განთავსების ან აღდგენის ოპერაციის ჩატარების მიზნით?		
ნივთიერება ან საგანი დაბალი ან უარყოფითი ეკონომიკური ღირებულებისაა?		
არის თუ არა ნივთიერება ან საგანი სახიფათო ან დამაზინძურებელი?		
არის თუ არა ნივთიერება ან საგანი კვლავ ვარგისი გამოსაყენებლად?		
ნივთიერება ან საგანი მეორე პირისთვის გადაცემული ან მიყიდულია როგორც მეორადი მოხმარების საქონელი?		



### კითხვარი 3: როდის აღარ ითვლება ნარჩენი ნარჩენად

(თუ პასუხია „დიახ“, შეწყვიტეთ შეფასება და თუ თქვენი ბოლო პასუხი მოხვდება ნაცრისფერ უჯრაში, ის ნარჩენია. თუ პასუხია „არა“ გადადით შემდეგ კითხვაზე)

კითხვის არსის გასაგებად, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა სახელმძღვანელო დოკუმენტის თავში 2.5.

შეკითხვა	დიახ	არა
ნარჩენი მხოლოდ წინასწარ დამუშავებულია და არა სრულად აღდგენილი ან რეციკლირებული?		
მოშორებულია თუ არა ნარჩენიდან ყველა არასასურველი ნივთიერება?		
შესაძლებელია თუ არა აღდგენილი/რეციკლირებული მასალით არანარჩენი მასალის სრულად ჩანაცვლება?		
შეიძლება თუ არა ნარჩენის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ის სრულად აღდგენილი/რეციკლირებულია?		
შესაძლებელია თუ არა აღდგენილი/რეციკლირებული მასალის გამოყენება ნარჩენების მართვის კანონმდებლობის მიზნების დაცვით?		
გარდაიქმნა თუ არა ნარჩენი სხვა პროდუქტად?		

**ცხრილი 1: „ნარჩენების ნუსხაში“ წარმოდგენილი ნარჩენების ჯგუფები**

კოდი	ნარჩენების ჯგუფის აღწერა	პრიორიტეტი
01	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება გეოლოგიური დაზვერვითი-სადიებო სამუშაოების/გათხრების, სამთომადნო მოპოვების, სასარგებლო წიაღისეულის /მინერალების და კარიერების მექანიკური დამუშავებისა და შემდგომი დამუშავებისას	ეტაპი A
02	ნარჩენები, რომლებიც წამოიქმნება სასოფლო-სამეურნეო, მებაღეობის, აქვაკულტურის, მეტყევეობის, სამონადირეო და თევზჭერის, საკვები პროდუქტის დამზადებისა და დამუშავებისას	
03	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქალაქის, მუყაოს, სამერქნე მასალის, პანელებისა და ავეჯის წარმოებისას	
04	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ტყავის, ბეწვეულისა და საფეიქრო წარმოებისას	
05	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ნავთობის რაფინირებისას, ბუნებრივი აირების გაწმენდისას და ნახშირის პიროლიზური დამუშავებისას	
06	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება არაორგანული ქიმიური პროცესებიდან	
07	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ორგანული ქიმიური პროცესებიდან	
08	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ზედაპირის დამფერავი საშუალებების (საღებავები, ლაქები და მოჭიქვისას და ემალირებისას გამოყენებული საშუალებები), წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების და საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას (MFSU)	
09	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ფოტოგრაფიული წარმოებიდან	
10	არაორგანული ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება თერმული პროცესების შედეგად	
11	არაორგანული, ლითონის შემცველი ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონების დამუშავებისა და ლითონების ზედაპირის დამფერავი საშუალებებით დამუშავებისა და ფერადი	

	ლითონების ჰიდრომეტალურგიული დამუშავების შედეგად	
12	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას	
13	ზეთის და თხევადი საწვავის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 თავებში)	ეტაპი B
14	ორგანული ნივთიერებების ნარჩენები, რომლებიც გამოიყენება გამხსნელად (გარდა 07 და 08 თავებისა)	
15	შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში	
16	ნარჩენი, რომელიც სხვა პუნქტებში გათვალისწინებული არ არის	ეტაპი C
17	სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან)	ეტაპი A
18	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით ან/და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად (გარდა საკვები ობიექტების ნარჩენებისა, რომლებიც არ არის წარმოქმნილი რაიმე უშუალო სამედიცინო აქტივობის შედეგად)	
19	ნარჩენები ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების, ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი საწარმოებისა და წყლის ინდუსტრიიდან	
20	მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას	

**ცხრილი 2: ნარჩენები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მუხლი 2(2)-ის თანახმად**

რადიოაქტიური ნარჩენები;
ატმოსფეროში აიროვანი გაფრქვევები;
მიწა (პირვანდელ ადგილზე – <i>ინ სიტუ</i> ), მათ შორის, ამოღებული დაბინძურებული ნიადაგი, მიწასთან განუყოფლად დაკავშირებული შენობები;
დაუბინძურებელი ნიადაგი, ბუნებაში გავრცელებული მასალა, რომელიც მშენებლობის პროცესში გათხრების შედეგად არის ამოღებული, თუ მასალა უექველად გამოყენებული იქნება მშენებლობის მიზნებისათვის მისი ბუნებრივი ფორმით;
ჩამდინარე წყლები, წყლის ობიექტების (მათ შორის, შავი ზღვის) ჩამდინარე წყლებით ან/და ნარჩენებით დაბინძურება;
ხმარებიდან ამოღებული ფეთქებადი ნივთიერებები;
ფერმერულ ან სატყეო მეურნეობაში გამოყენებული ფეკალური მასები/ნაკელი და ბუნებრივი წარმოშობის სხვა არასახიფათო მასალები;
სამთო გადამუშავების ნარჩენები – კარიერებზე მუშაობის და მინერალური რესურსების შესწავლის, მოპოვების, გადამუშავებისა და შენახვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები;
ხმარებიდან ამოღებული სამხედრო მნიშვნელობის ქიმიური ნივთიერებები;
სამელიორაციო სისტემებზე განხორციელებული საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად ამოღებული დაუბინძურებელი მასა (ნატანი), რომელიც სისტემების გასხვისების ზოლებში უნდა განთავსდეს.

**ცხრილი 3: ალდგენის ოპერაციები (დანართი I. „ნარჩენების მართვის კოდექსი“)**

R 1	ნარჩენის საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად	მოიცავს ნარჩენების ინსინერაციას ელექტროსადგურებში და ისეთ სამრეწველო ობიექტებში, როგორცაა ცემენტის ქარხნების ღუმელები, იმისათვის, რომ მიღებული ენერჯია გამოყენებულ იქნეს სითბოს ან ელექტროენერჯის მისაღებად. მაგალითად, ცემენტის ღუმელებში საბურავების, ნარჩენი ზეთების ან გამოყენებული გამხსნელების ინსინერაცია; ნარჩენი წყლების შლამის ან მუნიციპალიური ნარჩენებისგან მიღებული საწვავის ინსინერაცია ელექტროსადგურებში ენერჯის მისაღებად.
R 2	გამხსნელის ალდგენა (რეგენერაცია)	მოიცავს დამუშავების ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გამოყენებული გამხსნელების რეგენერაცია ან ალდგენა, მაგ., გამხსნელის გაწმენდა დამაბინძურებლების მოშორებისა და მის თავდაპირველ ხარისხამდე ალდგენისა ან ნაკლებხარისხიან პროდუქტად გარდაქმნის მიზნით (მაგ., ლაკის გამხსნელი); მეორადი თხევადი საწვავის წარმოება, ჩვეულებრივ, სხვა თხევად ნარჩენებთან შერევით.
R 3	იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/ალდგენა, რომლებიც არ გამოიყენება, როგორც გამხსნელები (მათ შორის, კომპოსტირება და სხვა ბიოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესები)	ოპერაციები, რომელთა მიზანია ბიოდეგრადირებადი ან არაბიოდეგრადირებადი ორგანული მასალის ალდგენა. ამ სახის ოპერაციებია: ნარჩენი ქაღალდისა და მუყაოს გადამუშავება და რეციკლირება; ბიოლოგიური ნარჩენებისა და მცენარეული ნარჩენების კომპოსტირება; ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ფერმენტაცია ბიოგაზის მისაღებად (ბიოგაზის დანადგარები).
R 4	ლითონების ან ლითონების ნაერთების რეციკლირება/ალდგენა	მოიცავს დამუშავების ისეთ ოპერაციებს, რომელთა მიზანია ლითონების ნარჩენების და ისეთი ნაერთების რეციკლირება, სადაც ლითონი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. დამუშავების ოპერაცია შედგება სხვადასხვა მექანიკური, თერმული და ქიმიური დამუშავების ეტაპებისა და პროცესებისგან, როგორცაა: ჯართისა და სამრეწველო ნარჩენების რეციკლირება ფოლადის სადნობ ღუმელებში; რესურსამოწურული სატრანსპორტო საშუალებებისა და ნარჩენი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრომოწყობილობების დაქუცმაცება და გადამუშავება; კაბელების ან ნავთობით დაბინძურებული ლითონების თერმული დამუშავება; ვერცხლის ელექტროლიტური ალდგენა ფოტოგრაფიაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებიდან.

R 5	სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა	<p>ოპერაციები, რომელთა მიზანია იმ არაორგანული არალითონი ნარჩენების აღდგენა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სხვა უფრო სპეციფიურ ოპერაციებში (მაგ., R6, R8, R10). არაორგანული არალითონი ნარჩენების წილი ნარჩენების მთლიან მოცულობაში ძალიან დიდია. ამ სახის ნარჩენები მრავალი სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისგან შედგება. ესენია, ძირითადად, ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება თერმული პროცესების (ლექი, ნაცარი, ქვიშა, მტვერი, და სხვ.), მშენებლობისა და დემონტაჟის, და საბადოებისა და კარიერების დამუშავების შედეგად.</p> <p>დამუშავების პროცესები მოიცავს: მშენებლობისა და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავება; მინის ნარჩენების გადამუშავება და რეციკლირება; ცემენტის ღუმელებში ან ასფალტის შემრევ ქარხნებში მეორად ნედლეულად გამოყენება. აღნიშნული ოპერაცია ასევე მოიცავს ნიადაგის გაწმენდას ნიადაგის აღდგენის მიზნით და არაორგანული სამშენებლო მასალების რეციკლირებას.</p>
R 6	მჟავების ან ფუძეების რეგენერაცია	<p>მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია გამოყენებული მჟავების/ფუძეების რეგენერაცია და ხელახალი გამოყენება თავდაპირველი ან სხვა დანიშნულებით. მაგალითად, გამოყენებული მჟავების კონცენტრაციის აღდგენა; გამოყენებული გოგირდმჟავას თერმული დაშლა გოგორმჟავის წარმოებაში ნედლეულად გამოყენების მიზნით.</p>
R 7	კომპონენტების აღდგენა დაბინძურების შესამცირებლად	<p>მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია დაბინძურების შესამცირებლად გამოყენებული ისეთი მასალების აღდგენა, როგორცაა აქტივირებული ნახშირი და იონგამცვლელი ფისი; მაგალითად, წყლისა და გამონაბოლქვის აირების გაწმენდისთვის გამოყენებული აქტივირებული ნახშირის აღდგენა; იონგამცვლელი ფისის აღდგენა გამხსნელების საშუალებით.</p>
R 8	კატალიზატორებიდან კომპონენტების აღდგენა	<p>მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია კატალიზატორების აღდგენა მათი ხელახალი გამოყენების მიზნით; კატალიზატორების კომპონენტების, ძირითადად, ლითონის კომპონენტების, აღდგენა, მაგ., ავტომანქანების კატალიზურ გარდამქმნელებში არსებული ძვირფასი ლითონების აღდგენა.</p>
R 9	ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება	<p>მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მიზანია ნარჩენი ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოყენება. ოპერაციები, ძირითადად, ორი სახისაა: ნარჩენი ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან ნარჩენი ნავთობპროდუქტებიდან საწვავის მიღება. ხელახალი გამოხდის შედეგად ნარჩენი ნავთობპროდუქტები გარდაიქმნება ნედლეულად, რომელიც გამოიყენება საპოხი მასალების დასამზადებლად; ნარჩენი</p>

		ნავთობპროდუქტებისგან ასევე მიიღება საწვავი, რომლითაც შესაძლებელია ქვანახშირის, დიზელის ან მსუბუქი საწვავის ჩანაცვლება.
R 10	მიწის დამუშავება, რასაც სარგებელი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის ან აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას	მოიცავს ორგანული და მინერალური ნარჩენების სოფლის მეურნეობაში სასუქად ან ნიადაგის დანამატებად გამოყენებას; ნარჩენების სხვაგვარად განთავსებას არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე, რაც აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას, მაგ., ხელს უწყობს ლანშაფტების და ძველი მიტოვებული კარიერების აღდგენას. R10-ის მაგალითებია: ნარჩენი წყლების ლექის გამოყენება სოფლის მეურნეობაში; სეპარირებულად შეგროვებული ბიოლოგიური ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული კომპოსტის გაფანტვა მიწაზე; ნაკელის გამოყენება შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო წესების მიხედვით; მინერალური ნარჩენების სასუქად გამოყენება. შეადარეთ D 2-ს.
R 11	R1-დან R10-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციის შედეგად მიღებული ნარჩენების გამოყენება	მოიცავს აღდგენის ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენების აღდგენას. აღნიშნული კოდი ეხება მხოლოდ გადამუშავების იმ ოპერაციებს, რომლებსაც არ ესადაგება სხვა რომელიმე ერთი ან რამდენიმე R კოდი.
R 12	ნარჩენების გაცვლა R1-დან R11-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად	მოიცავს აღდგენის ოპერაციამდე განსახორციელებელ წინასწარი დამუშავების ღონისძიებებს, როგორცაა სორტირება; აღდგენის ობიექტზე გაგზავნამდე სხვადასხვა წყაროდან წარმოქმნილი ერთგვაროვანი ნარჩენების შერევა; ნარჩენების გატანა და დაპრესვა; ხის ნარჩენების დაქუცმაცება ენერჯის აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციას სხვა R კოდი არ ესადაგება, აღნიშნული კოდი მოიცავს აღდგენამდე R1-დან R11-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად ჩასატარებელ შემდეგ წინასწარ ოპერაციებს: დემონტაჟი, სორტირება, დამსხვრევა, დაპრესვა, ბრიკეტირება, გაშრობა, დაქუცმაცება, გადაფუთვა, სეპარირება, შერევა, და სხვ.
R 13	R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობება (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით	აღდგენის/რეციკლირების ოპერაციამდე ნარჩენების დროებითი დასაწყობების ვადა 3 წელს არ აღემატება. ეს არ ეხება წარმოქმნის ტერიტორიაზე შეგროვებამდე დროებით დასაწყობებულ ნარჩენებს. აღნიშნული კოდი ასევე არ ეხება მყარი მუნიციპალური კონტეინერების განთავსების ადგილებს ან სამრეწველო ნარჩენების დაგროვების უბნებს, რომლებიც აუცილებელია საწარმოო პროცესისათვის და საიდანაც რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა დასაწყობების ადგილზე აღდგენის/რეციკლირებისთვის შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

	დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)	შეადარეთ D15-ს.
--	--	-----------------



**ცხრილი 4: განთავსების ოპერაციები (დანართი II. „ნარჩენების მართვის კოდექსი“)**

D 1	მიწაში ან მიწაზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და სხვ.)	ნარჩენების სამუდამოდ განთავსება კონტროლირებულ ნაგავსაყრელებზე, არაკონტროლირებულ ნაგავსაყრელებზე ან ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილ სხვა ტერიტორიებზე. სამთო-მოპოვებითი დარგის გამონამუშევარი ქანების, ფუჭი ქანებისა და კუდების განთავსება.
D 2	ნიადაგის დამუშავება (მაგ., ნიადაგში ჩაშვებული თხევადი ან ლექისებრი ნარჩენების ბიოდეგრადირება და სხვ.)	ნარჩენების გაფანტვა მიწის ზედაპირზე, ხშირ შემთხვევაში თან ახლავს ნარჩენების ნიადაგში შერევა, რომლსაც არ მოაქვს რაიმე სარგებელი სოფლის მეურნეობისა და, ზოგადად, გარემოსათვის. ძირითადად, ეხება არასახიფათო ლექს და თხევად ნარჩენებს, მაგ., ამოღებული ნატანის განთავსება (შეადარეთ R 10-ს)
D 3	ღრმა ჩაშვება (მაგ., ნარჩენების ჭაბურღილებში, მარილოვან თაღებში ან ბუნებრივ რეზერვუარებში ჩაშვება და სხვ.)	ღრმა ჩაშვება ნიშნავს ნარჩენების განთავსებას ბუნებრივ და ხელოვნურ ღრმულებში (მაგ., მარილოვან თაღებში, ჭაბურღილებში, მღაროებში) ან ფოროვან ქანებში.
D 4	ზედაპირული ჩაშვება (მაგ., თხევადი ან ლექისებრი ნარჩენების ქვაბულებში, გუბურებში ან აუზებში ჩაშვება და სხვ.)	ზედაპირული ჩაშვება ნიშნავს ნარჩენების განთავსებას ბუნებრივ ან ხელოვნურ გუბურებში, ქვაბულებში ან ღრმულებში. აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენება სამთო-მოპოვებით დარგში (მაგ., ლითონების მოპოვების) კუდების მართვის მიზნით.
D 5	სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ცალკე უჯრედებში განთავსება, რომლებიც დახურულია და იზოლირებულია ერთმანეთისგან და გარემოსგან, და სხვ.)	ნარჩენების მიწის ზედაპირზე განთავსება სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელებზე. სპეციალურად მოწყობილი ნაგავსაყრელების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სტანდარტები, ჩვეულებრივ, ამ კანონით დადგენილ სტანდარტებზე მაღალია.
D 6	წყალსატევებში (გარდა ზღვებისა და ოკეანეებისა) ჩაშვება	არასახიფათო ამოღებული ნალექებისა და სხვა სახის ლექის განთავსება ზედაპირული წყლების ობიექტებში, მათ შორის ფსკერზე და გრუნტში ჩამარხვა. მოიცავს თხევადი ნარჩენების ჩაშვებას საკანალიზაციო კოლექტორში იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია ნარჩენი წყლების შესახებ კანონმდებლობით.

D 7	ზღვებსა და ოკეანეებში ჩაშვება, მათ შორის, ზღვის ფსკერზე ჩამარხვა	ნარჩენების (მაგ., ბუნებრივი წარმოშობის ინერტული მასალების) ჩაშვება ზღვაში „ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ ოსლოსა და პარიზის კონვენციის“ (OSPAR) შესაბამისად.
D 8	ბიოლოგიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევები D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული	მოიცავს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც იყენებენ აერობულ ან ანაერობულ ბიოლოგიურ პროცესებს ნარჩენების მოსამზადებლად შემდგომი განთავსებისთვის, მაგ., ნარჩენების ბიოდეგრადირებადი კომპონენტების მოცულობის შემცირებით ან ორგანული დამაბინძურებლების დეგრადაციის გზით. ასეთი ოპერაციებია: მუნიციპალური ნარჩენების ბიოლოგიურ-მექანიკური დამუშავება, დაბინძურებული ნიადაგის, ლექის ან მინერალური ნარჩენების ბიოლოგიური დამუშავება მათი შემდგომი განთავსების მიზნით.
D 9	ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევები D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული (მაგ., აორთქლება, გაშრობა, კალცინირება და სხვ.)	მოიცავს, ძირითადად, თხევადი და პასტისებრი სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას სხვადასხვა ქიმიური, თერმული და ფიზიკური პროცესებით, რომლის შედეგად მიღებული ნაერთები ან ნარევები ექვემდებარება განთავსებას. ფიზიკურ-ქიმიური დამუშავებას, ჩვეულებრივ, ექვემდებარება ემულსიები, ზეთებისა და წყლის ნარევები, ნეიტრალური წყალშემცველი ორგანული და არაორგანული ნივთიერებები (სამრეწველო ნარჩენი წყალი, გამონაჟონი, და სხვ.), ციანიდები, მჟავები და ტუტეები. დამუშავების ეტაპებია: დეტოქსიკაცია (დაჟანგვა/დაშლა), დალექვა, განეიტრალება, ემულსიის დაშლა, იმობილიზაცია, ელექტროლიზი და ოსმოსი.
D 10	მიწაზე ინსინერაცია	მოიცავს ნარჩენების ინსინერაციას იმ შემთხვევაში, როდესაც ინსინერაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ნარჩენების თერმული დამუშავება ნარჩენების მოცულობისა და სახიფათობის შესამცირებლად და განსათავსებლად ვარგისი ინერტული პროდუქტის მისაღებად. მიღებული <b>ენერჯია არ გამოიყენება</b> - შეადარეთ R 1-ს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია: მუნიციპალური მყარი ნარჩენების ინსინერატორები (თუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ „ნარჩენების ჩარჩო დირექტივის“ დანართი II-ში დადგენილ სტანდარტებს), სახიფათო ნარჩენების ინსინერატორები, სამედიცინო ნარჩენების ან ცხოველური ნარჩენების ინსინერატორები. D10 ასევე მოიცავს ნარჩენების ინსინერაციას ისეთ დანადგარებში, სადაც ნარჩენი გადის თერმულ

		დამუშავებას და არ გამოიყენება საწვავად.
D 11	ზღვაში ინსინერაცია	ეს ოპერაცია აკრძალულია ევროკავშირის კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით.
D 12	მუდმივი დასაწყობება (მაგ., კონტეინერების მალაროში განთავსება და სხვ.)	ნარჩენების მუდმივი მიწისქვეშა განთავსების ადგილები მალაროებში, ქვაბულებში ან სხვა მიწისქვეშა წარმონაქმნებში.
D 13	შერევა D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების დაწყებამდე	მოიცავს მოსამზადებელ ღონისძიებებს, რომელთა დანიშნულებაა ნარჩენების სათანადო მდგომარეობაში მოყვანა და შეფუთვა მათი საბოლოო განთავსების მიზნით ტრანსპორტირებისა და დამუშავებისათვის. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: ნარჩენების სორტირებას; დამსხვრევას და დაქუცმაცებას ტრანსპორტირებასა და განთავსებას დაქვემდებარებული ნარჩენების მოცულობის შესამცირებლად; ნარჩენების შერევას (მაგ., სხვადასხვა წყაროდან წარმოქმნილი ერთგვაროვანი ნარჩენების შერევა); ჰომოგენიზაციას, სათანადო მდგომარეობაში მოყვანასა და გამყარებას. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციას სხვა D კოდი არ ესადაგება, აღნიშნული კოდი მოიცავს განთავსებამდე D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად ჩასატარებელ შემდეგ წინასწარ ოპერაციებს: სორტირება, დამსხვრევა, დაპრესვა, ბრიკეტირება, გამრობა, დაქუცმაცება, სეპარირება, და სხვ.
D 14	გადაფუთვა D1-დან D13-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების დაწყებამდე	მოიცავს მოსამზადებელ ღონისძიებებს, რომელთა დანიშნულებაა ნარჩენების სათანადო მდგომარეობაში მოყვანა და შეფუთვა მათი საბოლოო განთავსების მიზნით ტრანსპორტირებისა და დამუშავებისათვის. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: ნარჩენების გადატანას და დაპრესვას; აზბესტის, პესტიციდებისა და სხვა ნარჩენების შეფუთვის ან გადაფუთვისას.
D 15	D1-დან D14-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების მიმდინარეობის დროს შენახვა (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)	განთავსების ოპერაციამდე ნარჩენების დროებითი დასაწყობების ვადა 1 წელს არ აღემატება. ეს არ ეხება წარმოქმნის ტერიტორიაზე შეგროვებამდე დროებით დასაწყობებულ ნარჩენებს. აღნიშნული კოდი ასევე არ ეხება მყარი მუნიციპალური კონტეინერების განთავსების ადგილებს ან სამრეწველო ნარჩენების დაგროვების უბნებს, რომლებიც აუცილებელია საწარმოო პროცესისათვის და საიდანაც რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა დასაწყობების ადგილზე საბოლოო განთავსების ადგილზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით. შეადარეთ R 13-ს.

**ცხრილი 5: სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები**

H 1	„ფეთქებადი“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა ცეცხლის ალის ზემოქმედებით აფეთქდეს, ან რომლებიც ხახუნის მიმართ უფრო მგრძობიარეა, ვიდრე დინიტრობენზოლი.
H 2	„მუანგავი“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც სხვა ნივთიერებებთან, კერძოდ, აალებად ნივთიერებებთან, ურთიერთქმედებისას მაღალ ეგზოთერმულ რეაქციებს ავლენენ.
H 3-A	<p>„ადვილად აალებადი“</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული 21°C-ზე ნაკლებია (მათ შორის, უკიდურესად აალებადი სითხეები); ან</li> <li>- ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერთან ურთიერთქმედებისას ყოველგვარი ენერჯის გამოყენების გარეშე შესაძლოა გაცხელდეს და ცეცხლი გაუჩნდეს; ან</li> <li>- მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვს უნარი, ცეცხლი გააჩინოს აალების წყაროსთან მცირე კონტაქტის დროსაც კი და რომლებიც აგრძელებს წვას ან შთანთქმას აალების წყაროსგან მოშორების შემდეგ; ან</li> <li>- აირისებრი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჰაერში აალებადია ჩვეულებრივ წნევაზე; ან</li> <li>- ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას საშიში ოდენობის ადვილად აალებად აირებს გამოყოფს.</li> </ul>
H 3-B	„აალებადი“: თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული მეტია ან ტოლია 21°C-ისა და ნაკლებია ან ტოლია 55°C-ისა.
H 4	„გამაღიზიანებელი“: არაკოროზიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც კანთან ან ლორწოვან მემბრანასთან დაუყოვნებელი, განგრძობადი ან განმეორებითი ურთიერთქმედებისას შესაძლოა ანთება გამოიწვიოს.
H 5	„მავნე“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა ჯანმრთელობისათვის საშიშია.
H 6	„ტოქსიკური“: ნივთიერებები და პრეპარატები (მათ შორის, მეტად ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები), რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული, მკვეთრი ან ქრონიკული დაზიანება ან სიკვდილიც კი გამოიწვიოს.
H 7	„კანცეროგენული“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა სიმსივნე გამოიწვიოს ან მისი გაჩენის ალბათობა გაზარდოს.
H 8	„კოროზიული“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესაძლოა ცოცხალ ქსოვილთან ურთიერთქმედებისას დაშალოს იგი.
H 9	„ინფექციური“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ისეთ მიკროორგანიზმებს ან მათ ტოქსინებს, რომლებსაც, როგორც ცნობილია ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ან სხვა ცოცხალი

	ორგანიზმის დაავადება.
H 10	„რეპროდუქციისთვის ტოქსიკური“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა არამემკვიდრეობითი თანდაყოლილი პათოლოგიები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა გაზარდოს.
H 11	„მუტაგენური“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა მემკვიდრეობითი გენეტიკური დეფექტები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა გაზარდოს.
H 12	ნარჩენები, რომლებიც წყალთან, ჰაერთან ან მჟავასთან ურთიერთქმედებისას ტოქსიკურ ან მეტად ტოქსიკურ აირებს გამოყოფს.
H 13	„სენსიბილური“: ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჰიპერმგრძობიარე რეაქცია გამოიწვიოს, კერძოდ, მათ ხანგრძლივი ზემოქმედებისას შეიძლება დამახასიათებელი უარყოფითი გავლენა მოახდინონ.
H 14	„ეკოტოქსიკური“: ნარჩენები, რომლებიც უქმნის ან რომლებმაც შესაძლოა შეუქმნან დაუყოვნებელი ან განგრძობადი რისკი გარემოს ერთ ან რამდენიმე სექტორს.
H 15	ნარჩენები, რომლებმაც განთავსების შემდეგ შესაძლოა გამოყოს სხვა ნივთიერება, მაგ., გამონაჟონი, რომელსაც აქვს ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მახასიათებელი.

